ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## გიორგი მარგველაშვილმა „ქართულ ოცნებას“ ანგელოზები დაუფრთხო



გვ.3

„არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსი იქნა გამოყენებული“

26 ოქტომბრიდან

ონორე დე ბალზაკი

კურტიზან ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე

ნაწილი I



ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

პარასკევი, 27 ოქტომბერი, 2017 №255 (7489) ფასი: 50 თეთრი

# გარდაცვლილ სულხან მოლაშვილს ექიმის ცემის გამო ასამართლებენ

სასამართლო 31 ოქტომბერს ჩაინიშნა



გვ.4

## „პოლიციამ პაატა პავლიაშვილს ხელები შეუკრა და ცხვირ-პირით დააგდო ძირს“



გვ.7

„ამ საცოდავმა თქვა, დამანებეთ თავი, ცუდად ვარო და ჩაიკეცა“

## „ან მღებრიშვილს გაუშვებენ სახლში, ან მთელ ხელისუფლებას მოუწევს წასვლა“

ზვიად კუპრავა: „ქუჩაში ადამიანების დახოცვის ფაქტები სულ უფრო მატულობს“



გვ.5

## კახა კუკავა: „ივანიშვილი ვერც სოლოლაკში და ვერც სოლოლაკის გარეთ ფეხს ვერ დაადგამს“



გვ.2

„ამხელა გაყალბებას არ ველოდით“

## „ლარის კურსი ისეთია, როგორიც ბანკებს უნდათ“



გვ.6

## ოთარ ანგურიძე: „შავი ფულის შესახებ ინფორმაცია ეროვნულ ბანკს უნდა ჰქონდეს“

„მე ვფიქრობ, ლარის გაუფასურება მსხვილმა ტრანზაქციამ გამოიწვია“



გვ.3

## სამართალი

გვ.7



მარი კურტანიძე თამაზ აქუბარდიას სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს



პოლიციელის ტყვიამ სოფელ მუქავასთან 19 წლის პოლიციელი იმსხვერპლა



გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, საცხოვრებელ კორპუსში, აფეთქება მოხდა

## ეკონომიკა

გვ.6

საქსტატი: „ხუთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 336 ლარი და 40 თეთრია“



„ტექდათვალიერების ამოქმედება ავტოგაზის მოხმარებას შეამცირებს“



მსუბუქი ავტომობილების იმპორტი საქართველოში 3 მილიონი დოლარით შემცირდა



ISSN 1987-9385

2 თამაზ მეჭიაური: „ეს არის კოალიცია „ქუცნა“

4 ნანა დევდარიანი: „სააკაშვილი ხელისუფლებაში ყოფნისთვის ყველაფერზე წავა“

2 ირმა ჭკადუა: „ოთარ აბესაძის ფსიქოემოციური მდგომარეობა ძალიან მძიმეა“

6 ბათუმში „სემირამიდას ბაღების“ კომპლექსის მშენებელი კომპანია სასტუმროს გახსნის გადავადებას ითხოვს

# კახა კუკავა: „ივანიშვილი ვერც სოლოლაკში და ვერც სოლოლაკის გარეთ ფეხს ვერ დაადგამს“

## „ამხელა გაყალბებას არ ველოდით“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი, თბილისის მერობის ყოფილი კანდიდატი **კახა კუკავა** პასუხობს.

***– ბატონო კახა, თქვენი ბლოკი ბრალად დებს ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებას. მთაწმინდისა და ისნის რაიონის ოლქებში დიდი ხმაური იყო, ხმების გადათვლას ითხოვდით, თუმცა – ამაოდ. რა ხდება? გააყალბა ხელისუფლებამ არჩევნები?***

– დიახ, ეს იყო ყველაზე გაყალბებული არჩევნები! საქართველოში 1995 წლის შემდეგ, როდესაც ყუთების მოპარვა ხდებოდა, არჩევნები ასე არავის გაუყალბებია.

***– ასეთი რა მოხდა?***

– ამჯერად მოხდა ხმების მოპარვა ყოველი მეორე-მესამე უბნიდან და, რაც იყო სიახლე ამ არჩევნებზე, არჩევნები გაყალბდა არა მარტო პერიფერიებში, როგორც ეს ადრე ხდებოდა, დავუშვათ, ეთნიკურად დასახლებულ ან მაღალმთიან რაიონებში, არამედ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა თბილისში, ქუთაისსა და ყველა დიდ ქალაქში. მთაწმინდაზე, სადაც გვქონდა პროპორციული სისტემით ნული ხმა, მივიყვანეთ ცოცხალი ადამიანები, რომლებმაც თქვეს, რომ მათ ხმა მისცეს ჩვენს პარტიას. ამის შემდეგ მოვითხოვეთ ამ მე-13 უბნის გადათვლა, რაზეც 5-6 საათი გრძელდებოდა კამათი საოლქო კომისიაში.

***– მოხდა ხმების ხელმეორედ გადათვლა?***

– არა, ჩვენ მივიღეთ კატეგორიული უარი. ანალოგიური უბნები გვაქვს იქ, სადაც ჩემი ოჯახი ვაძლევთ ხმას, ანალოგიური უბნებია თბილისის ძალიან ბევრ უბანზე, სადაც ნული, ერთი ან ორი ხმა გვაქვს აღებული. მოდის უამრავი ადამიანი და გვეუბნება, რომ ჩვენ მოგვცეს ხმა. ქუთაისში, სადაც 8% აიღო გოგი წულაიამ, როგორც ქალაქის მერმა, მას დაუწერეს 2% პროპორციული სისტემით, რომ ის საკრებულოში არ შესულიყო. პრაქტიკულად, მთელ საქართველოში ანალოგიური ვითარებაა. ჩვენი დათვლებით, მინიმუმ 10-12% გვაქვს აღებული ამ არჩევნებზე და ხმების ქურდ ბიძინა ივანიშვილის დავალებით გაიცა განკარგულება, რომ ჩვენ უნდა აგვეღო 2%!

***– როგორ დაამტკიცებთ ამას? აქვს ბრძოლას აზრი?***

– ჩვენ ვაპირებთ ბრძოლას. დღეს და ხვალ ბიძინა ივანიშვილს ვერ მოვერევით, მაგრამ მას აქვს გასაკეთებელი არჩევანი, რომელიც 2008 წლის 5 იანვარს გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა. თუ ის არ გასცემს ხმების გადათვლის განკარგულებას და თუ არჩევნების ეს შედეგები დარჩება ძალაში., მაშინ ჩვენ მას მთელი მსოფლიოს მასშტაბით მივაკრავთ ხმების ქურდის იარლიყს. ეს ყველაფერი იქნება ძალიან კარგად ილუსტრირებული და ძალიან კარგი მტკიცებულებებით ყველაფერი გამყარებული, რაც ადრე თუ გვიან გამოიღებს შესაბამის შედეგებს. ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად დაჯდება ბრალდებულის სკამზე.



***– ყველა ოლქში უარს გეუბნებიან ხმების გადათვლაზე?***

– დიახ, მთელ საქართველოში გვეუბნებიან უარს გადათვლაზე!

***– რა სქემით მოხდა არჩევნების გაყალბება? ამბობენ, ასეთი მშვიდი და სამართლიანი არჩევნები ჯერ არ ჩატარებულაო.***

– მშვიდი არჩევნები ტარდებოდა საბჭოთა კავშირშიც! ეს არ არის არჩევნების დემოკრატიულობის შეფასების კრიტერიუმი. სქემა იყო ის, რომ არჩევნების ხმების შეჯამების დროს იმ უბნებზე, სადაც ჩვენი წარმომადგენლები ან არ აქტიურობდნენ, ან ზოგან საერთოდ არ იყვნენ, დაგვიწერეს ნული, რამაც გამოიწვია საშუალო შედეგის დაგდება.

***– ანუ სპეციალურად დაგიგდეს პროცენტები, რომ საკრებულოში ვერ შესულიყავით?***

– ასეა! შეგიძლიათ, ნახოთ შედეგები. ჩვენ საშუალოდ 2,5% არცერთ უბანზე არა გვაქვს. ჩვენ გვაქვს 10-12% ან ნული. რატომ? იმიტომ, რომ იქ, სადაც ჩვენი წარმომადგენლები იყვნენ და დაესწრნენ ხმების დათვლას, რეალური შედეგი დაფიქსირდა, ხოლო იქ, სადაც ჩვენი წარმომადგენლები არ იყვნენ, უბრალოდ, დაგვიწერეს ნული!

გარდა ამისა, კალაძეს აღებული ჰქონდა მაქსიმუმ 44% და იმისთვის, რომ კალაძე პირველივე ტურში გაეყვანათ, ჩემი, გიორგი ვაშაძისა და გიორგი გუგავას ხმები გადაულაგეს პირდაპირ კახი კალაძეს, ასევე გაზარდეს მათი ბიულეტენების რაოდენობა, იმიტომ, რომ 50%-იან ნიშნულის გამოყვანის პროცესში, კანონის მიხედვით, ბათილი ბიულეტენები არ იანგარიშება. ამიტომაც არის ბათილი ბიულეტენების უშუალოდ მაღალი რაოდენობა თბილისის ყველა საარჩევნო უბანზე.

***– არც მოსახლეობის აქტიურობა იყო მაღალი. ამან არ იქონია გავლენა? ოპოზიციამაც ხომ არ დაუშვა შეცდომები?***

– ეს ყველაფერი სხვადასხვა ფაქტორის ერთობლიობაა. მე არც იმაზე გავურბივარ საუბარს, რომ ოპოზიციის მხრიდანაც იყო დაშვებული ბევრი სტრატეგიული და ტაქტიკური შეცდომა, მაგრამ ამ წუთას ყველაზე მნიშვნელოვანი, სასწრაფო და საშური არის ის, რომ ვისაუბროთ ამ ტოტალურ გაყალბებაზე. ხელისუფლებამ მოიპარა ხმების ყველაზე უფრო დიდი რაოდენობა, რომელიც 90-იანი წლების შემდეგ მოუპარავს რომელიმე ხელისუფლებას.

***– ამ შემთხვევაში თუა ოპოზიცია ერთიანი და თქვენს ბრძოლას თუ აქვს აზრი?***

– არა, ოპოზიცია ერთიანი არ არის. დღეს არჩევნების დელეგიტიმაციასთან დაკავშირებით მკაფიოდ გამოხატული პოზიცია აქვს მხოლოდ რამდენიმე პარტიას, ჩვენ, ნინო ბურჯანაძესა და ლეიბორისტულ პარტიას. სხვა პარტიებმა ან მიულოცეს უკვე გამარჯვება „ქართულ ოცნებას“, ან ამაზე საუბარს გაურბიან. ჩვენ გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი ხელისუფლებასთან ფარულ ალიანსში იმყოფებიან.

***– ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასა და არათანაბარ პირობებზე პარტიები არჩევნებამდეც საუბრობდნენ.***

– კი, ეს მოსალოდნელი იყო და ამ კუთხით განსაკუთრებული მოლოდინი არ გვქონია. ჩვენ ვფიქრობდით, რომ 30%-ის გაყალბება მოხდებოდა, რომელიც საქართველოში სამწუხარო ტრადიციად იქცა. ჩვენთვის იყო მოულოდნელი და შოკისმომგვრელი ის, რაც მოხდა ხმების დათვლის დროს, როდესაც ათიათასობით ხმა მოიპარეს თბილისში და ასიათასობით ხმა მოიპარეს რეგიონებში.

***– აქციებს თუ უნდა ველოდოთ ოპოზიციური პარტიების მხრიდან?***

– აქციები და საკნების ქალაქი აუცილებლად იქნება, ოღონდ არა წელს. ეს იქნება გაისად. დღეს ოპოზიცია ამისთვის მზად არ არის. ჩვენთვის დღეს მთავარი ამოცანაა, მთელმა საერთაშორისო საზოგადოებამ დაინახოს, რომ საქართველოს მართავს კანონიერი ქურდი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც არის ხმების ქურდი! საქართველოში არის კრიმინალური, მაფიოზური რეჟიმი. ჩვენ ამ ყველაფრის ილუსტრირებას მოვახდენთ საერთაშორისო საზოგადოებისთვის.

***– აქციების პარალელურად?***

– აქციების დრო მოვა. გარწმუნებთ, როგორც სააკაშვილი ვერ შედიოდა პრეზიდენტისა და პარლამენტის შენობაში თვეების განმავლობაში, ეს იქნება ისეთი მძლავრი აქცია, რომ ივანიშვილი ვერც სოლოლაკში და ვერც სოლოლაკის გარეთ ფეხს ვერ დაადგამს. დღეს მთელი საქართველოს ხელისუფლება ზაქარია ქუცნაშვილია! ზაქარია ქუცნაშვილი არის დღეს საქართველოს ხელისუფლების სახე, რომელიც ღიად ამბობს, რომ რა განათლება და გამოცდილებაც არ უნდა გქონდეს, არცერთ სამსახურში არ მიგიღებენ, იყავი ლოთი, ნარკომანი, ბანდიტი, კორუმპირებული, მაგრამ, თუ ხარ „ქართული ოცნების“ ნათესავი, აუცილებლად დაგასაქმებენ და თანაც უმაღლეს სახელმწიფო პოზიციებზე! აი, ეს არის ბიძინოკრატია.

***– დღეს ოპოზიცია აქციებისთვის მზად არ არისო, აცხადებთ და რატომ ხართ დარწმუნებული, რომ ერთ წელიწადში იქნება ამისთვის მზად?***

– ჩვენ ეს გავლილი გვაქვს. ყველას ძალიან კარგად გვახსოვს, რომ ადამიანებს სჭირდებათ პირადი მაგალითი. როდესაც სააკაშვილის რეჟიმზე ვსაუბრობდით, სანამ მათ ნიღაბი არ ჩამოვხსენით, მანამდე ხალხი ქუჩაში არ გამოდიოდა. გირგვლიანის აქციებზე 500 კაცით გამოვდიოდით. მერე დადგა რაღაცა მომენტი და ხალხი გამოვიდა ქუჩაში. დღეს გვაქვს ეს ინფორმაციები, თუ რა შეიძლება იყოს ეს ნაპერწკალი 2018 წელს. ასიათასობით ადამიანი გამოვა ქუჩაში. ეს დღე ივანიშვილს აუცილებლად დაუდგება. ვარწმუნებ ბიძინა ივანიშვილს, რომ ის თავისი ცხოვრების დარჩენილ წლებს აუცილებლად დაამთავრებს გლდანის საპყრობილეში. მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, მას ევროპარლამენტარები თავდებში არ დაუდგებიან და თავშესაფარს არ მისცემენ.

## თამაზ მეჭიაური: „ეს არის კოალიცია „ქუცნა“



– ეს არის კოალიცია „ქუცნა“, არა მგონია, რომ ჩემ წინააღმდეგ ბრძოლაში ცენტრალური ხელისუფლება იყოს ჩართული, ამ საჩივრებით, არა მგონია, მათ რამეს მიაღწიონ. აქ გადამწყვეტი არ არის, ვიქნები თუ არა მერი, ამას ხალხი არ აპატიებს. ხელისუფლებასაც ჰყოფნის გონიერება, რომ თიანეთის მერის თანამდებობას არ გადააყოლებენ საკუთარ რეპუტაციას. მე გავიმარჯვებ. ასე გამოეხმაურა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას თიანეთის მერობის ერთ-ერთი კანდიდატი თამაზ მეჭიაური ინფორმაციას, რომ თიანეთის მერის არჩევნებში მისი გამარჯვების გადაწყვეტილება ოთხმა სუბიექტმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

თამაზ მეჭიაური არჩევნებთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ დავაში ცენტრალური ხელისუფლების ჩართვის კვალს ვერ ხედავს და აცხადებს, რომ მას მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლება უპირისპირდება.

– არა მგონია, რომ ჩემ წინააღმდეგ ბრძოლაში ცენტრალური ხელისუფლება იყოს ჩართული. შესაძლოა ცენტრალური ხელისუფლებიდან ვიღაც საშუალო დონეზე უჭერდეს მხარს ზაქარია ქუცნაშვილს ან მასთან ბიზნესინტერესები ჰქონდეს, თუმცა, არ მიმაჩნია, რომ ესენი არიან უმაღლესი თანამდებობის პირები. მე მიპირისპირდება ადგილობრივი ხელისუფლება. რეგიონულიც რომ რაღაც დონეზე იყო, ესეც ფაქტია, რადგან სპეცრაზმი ვერ შემოვიდოდა მხოლოდ ზაქარია ქუცნაშვილის ნება-სურვილით, თუ მას სხვებიც არ აჰყვებოდნენ, – განაცხადა მეჭიაურმა.

რაც შეეხება 4 სუბიექტის სარჩელს, რომლებიც ითხოვენ, რომ გაუქმდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება თიანეთის ოლქში არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, თამაზ მეჭიაურის თქმით, მისთვის გაუგებარია, რის საფუძველზე ითხოვენ სუბიექტები სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას, ვინაიდან სასამართლომ მისი გამარჯვება დაადასტურა.

– ეს არის კოალიცია „ქუცნა“, ოთხივე არის ერთი და იგივე. ოთხივეს ვერ შეგპირდებით, მაგრამ ის ორი დაამთავრებს თავის მოღვაწეობას. ის არასამთავრობოები კი გააგრძელებენ, თუმცა, ზაქარია ქუცნაშვილი თვითონვე გამოჩნდება, როგორც იმ არასამთავრობოების უშუალო ხელმძღვანელი. თიანეთში ჩემი გამარჯვება სასამართლომ დაადასტურა და ეს სამართლებრივი დავა მოვიგე. ახლა მე არ ვიცი, რის საფუძველზე ითხოვენ სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას, – განაცხადა მეჭიაურმა.

## ირმა ჭკადუა: „ოთარ აბესაძის ფსიქოემოციური მდგომარეობა ძალიან მძიმეა“

ქრთამის აღების ბრალდებით დაკავებული თბილისის მერიის ყოფილი თანამშრომელი ოთარ აბესაძე ჰოსპიტალში ჯერჯერობით არ გადაუყვანიათ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ოთარ აბესაძის ინტერესების დამცველმა ირმა ჭკადუამ განუცხადა, აბესაძის ფსიქოემოციური მდგომარეობა მძიმეა, თუმცა როდის მოხდება ჰოსპიტალიზაცია, დაზუსტებული არ არის.

– მოვინახულეთ ოთო აბესაძე. ძალიან დათრგუნულია და მისი ფსიქოემოციური მდგომარეობა ძალიან მძიმეა, თუმცა, ექიმების დასკვნა და რეკომენდაციები ჯერ მზად არ არის. მისი ჰოსპიტალიზაციის საკითხი, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის, – აღნიშნა ირმა ჭკადუამ.

მერიის ყოფილი თანამშრომელი ოთარ აბესაძე ქრთამის აღების ბრალდებით სუს-მა დააკავა. გამოძიების თანახმად, აბესაძემ მდინარე მტკვარზე, გარკვეული კონსტრუქციის აშენებისთვის საჭირო ნებართვის მისაღებად და ნებართვის მიღებამდე მშენებლობის წარმოების მფარველობის სანაცვლოდ მოქალაქეს 3 ათასი დოლარი ქრთამის სახით გამოართვა.

ამჟამად სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობს. არაერთი შუამდგომლობის მიუხედავად, ოთარ აბესაძეს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა არ შეცვლია და ის დღემდე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში რჩება.

## კახა კოჟორიძე: „კარგია, რომ უმრავლესობა უსმენს პრეზიდენტს, თუმცა ცუდია, რომ არ უსმენს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების დასკვნებს“

საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ადამიანი უფლებათა დაცვის საკითხებში კახა კოჟორიძე არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ უმრავლესობის კრიტიკას ეხმაურება.

– ძალიან კარგია, რომ უსმენენ პრეზიდენტს, თუმცა ცუდია, რომ არ უსმენენ და არ ეცნობიან საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების, ეუთო/ოდირის, NDI-ის და ძირითადი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების დასკვნებს, რომლებიც ყველა ერთად, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელ ამ საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო, – განაცხადა კახა კოჟორიძემ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი მარგველაშვილმა „ქართულ ოცნებას“ ანგელოზები დაუფრთხო

## „არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსი იქნა გამოყენებული“

შორენა მარსაგიშვილი

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ხიბლში ჩავარდნილ „ქართულ ოცნებას“ ანგელოზები დაუფრთხო. მან მმართველი გუნდის არჩევნებში გამარჯვება კინაღამ ეჭვქვეშ დააყენა. მარგველაშვილმა განაცხადა, რომ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას ჰქონდა ადგილი.

„მაესტროს“ ეთერში პრეზიდენტმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე ქვეყანამ უარი ჯერ კიდევ ვერ თქვა.

– ძალიან ბევრი კითხვა დაისვა საჯარო მოსამსახურეების ნებასთან მიმართებით, თუ რამდენად იყო მათი ნება თავისუფალი და მათი უშუალო ხელმძღვანელები რამდენად აკონტროლებდნენ მათ ნებას. აქ საუბარია ადამიანებზე, რომელთათვისაც სამსახური არ უნდა იყოს პოლიტიკური არჩევანის რისკთან დაკავშირებული, – დაიჩივლა მარგველაშვილმა.

მეოცნებეები პრეზიდენტის ნებისმიერ განცხადებაზე მწვავედ რეაგირებენ, ამ განცხადებამ კი სულ გადარია ისინი. ზოგი მას ჭორების გავრცელებაში ადანაშაულებს, ზოგიც ბოდიშის მოხდისკენ მოუწოდებს.



პარლამენტის თავმჯდომარემ ლამისაა, მის მიერ შესწორებულ კონსტიტუციაზე დაიფიცოს, რომ მსგავს ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. ირაკლი კობახიძე ამტკიცებს, რომ ეს პრაქტიკა „ოცნებამ“ 2012 წელს ჩააბარა წარსულს.

– ქვეყნდებოდა სოციოლოგიური კვლევები, მათ შორის ოპოზიციასთან დაკავშირებული ტელევიზიებიც კი აქვეყნებდნენ სოციოლოგიურ კვლევებს და სოციოლოგიური კვლევების შედეგები დაემთხვა არჩევნების შედეგებს. ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ არავითარ შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას.



თუ იყო ერთეული შემთხვევები, ამასთან დაკავშირებით შეიძლება, რა თქმა უნდა, რეაგირება. რაც შეეხება ადმინისტრაციული რესურსების სისტემურ გამოყენებას, ეს არის ის პრაქტიკა, რომელიც ჩვენ ჩავაბარეთ წარსულს 2012 წელს და ამით ჩვენ ვამაყობთ, შესაბამისად, ასეთი განცხადებები არასამართლიანია, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

### „ოცნება“ პრეზიდენტისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს

სპიკერზე უფრო მეტად გაცხარებულია დეპუტატი დავით მათიკაშვილი. ის მარგველაშვილისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს.

მისი თქმით, გაოპოზიციონერებული პრეზიდენტის ხილვა ძალიან მძიმეა. ის მარგველაშვილს შეახსენებს, რომ ზეპარტიული არბიტრობა ევალება.

– ოპოზიციაში გადასული პრეზიდენტი არ არის სწორი, არ არის ჯანსაღი მიდგომა. ამიტომ ჩვენ 2018 წელს გვეყოლება ახალი პრეზიდენტი და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ის მაინც იქნება სწორედ გამტარებელი იმ პოლიტიკის, რომელსაც ზეპარტიული არბიტრი ჰქვია, – ამბობს დეპუტატი.

მათიკაშვილის განცხადებითვე, პრეზიდენტმა კონკრეტულ ფაქტებზე უნდა ილაპარაკოს.

– პრეზიდენტის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ადმინისტრაციული რესურსი იქნა გამოყენებული, ეს ყველაფერი უნდა დადასტურდეს. ეს ჰაერზე ნათქვამი განცხადება, მით უმეტეს, პირველი პირისგან არ არის სასიამოვნო მოსასმენი. თუკი ასეთი რამ დადასტურდა, შესაბამისი პასუხისმგებლობაც უნდა დადგეს, ცხადია, ხოლო თუ არ დადასტურდა, მაშინ, ვინც ამას აბრალებს კონკრეტულ პროცესებში მონაწილე პირებს, ამ პიროვნებამ ბოდიში უნდა მოიხადოს, – მიიჩნევს მათიკაშვილი.

პრეზიდენტის განცხადებით უკმაყოფილო დარჩა თბილისის მერად არჩეული კახა კალაძეც. ის მიიჩნევს, რომ მარგველაშვილი არასწორად იქცევა, როცა მოგონილ ჭორებზე განცხადებებს აკეთებს.

საინტერესოა, რომ კალაძეს პრეზიდენტის გამოსვლა თავად არ მოუსმენია და კომენტარი იმაზე გააკეთა, რაც მას მოუყვნენ.

– პირადად მე არ მომისმენია პრეზიდენტის განცხადება, თუმცა უბრალოდ მოგონილ ჭორებზე განცხადებების გაკეთება პრეზიდენტის მხრიდან, მგონია, რომ არასწორია. პრეზიდენტი უფრო მაღლა უნდა დადგეს ამ ყველაფერზე. წინასაარჩევნო დებატების დროს ერთ-ერთმა ჟურნალისტმა დასვა ეს შეკითხვა და ჩემი პასუხი იყო, რომ თუ არსებობს ამის რაიმე დამადასტურებელი ფაქტი, ერთად მივმართოთ შესაბამის სამსახურებს, მოხდეს გამოძიება, თუ ვინმე ავალდებულებდა ამ ადამიანებს, თუ იყო ზეწოლა, ესეც გამოვიძიოთ.

ის, რომ მასწავლებელი, ბაღის თანამშრომელი, ექიმი ჩართული იყო საარჩევნო პროცესებში და მხარს მიჭერდა პირადად მე და „ქართულ ოცნებას“, დასაძრახი და სიახლე არაფერია. ყველა ადამიანს აქვს უფლება და შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, დაესწროს შეხვედრებს, ჩაატაროს თუნდაც აგიტაცია და მე



აქ არანაირ პრობლემას არ ვხედავ. თუ რაიმე დარღვევაა, ერთად გამოვიძიოთ. სიცრუეზე აკეთებ განცხადებებს, თან პრეზიდენტი, მე მგონი, ცოტა არასწორია, – ასეთია ახალი მერის მოსაზრება.

მეოცნებეთა ურდოების მიერ შემუსრულ მარგველაშვილს მისი მრჩეველი კახა კოჟორიძე გამოესარჩლა.

ის კმაყოფილია იმით, რომ „ოცნება“ პრეზიდენტის განცხადებებს უსმენს. ამავე დროს, ის მმართველ ძალას ურჩევს, სანამ მარგველაშვილის განცხადებებზე ტანზე შემოიხევენ, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების დასკვნებსაც გადახედონ.

– ძალიან კარგია, რომ უსმენენ პრეზიდენტს, თუმცა ცუდია, რომ არ უსმენენ და არ ეცნობიან საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების, ეუთოს, ენდიაისა და ძირითადი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების დასკვნებს, რომლებიც ყველა ერთად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელ ამ საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში კახა კოჟორიძემ.

# ოთარ ანგურიძე: „შავი ფულის შესახებ ინფორმაცია ეროვნულ ბანკს უნდა ჰქონდეს“

## „მე ვფიქრობ, ლარის გაუფასურება მსხვილმა ტრანზაქციამ გამოიწვია“

ნათია ხურცილავა

ეკონომიკის ექსპერტი **ოთარ ანგურიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არჩევნებიდან მეორე დღეს ლარის კურსის რამდენიმე პუნქტით გაუფასურების მიზეზებზე საუბრობს.

***– ბატონო ოთარ, არჩევნებიდან მეორე დღეს ლარის კურსის რამდენიმე პუნქტით გაუფასურებას რას უკავშირებთ?***

– ერთადერთი სრულყოფილი ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით ეროვნულ ბანკს აქვს. თუმცა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მოკლევადიან რყევებზე მისი კომენტარი არასერიოზული იქნება. მე კი ვიტყვი, რომ მსგავსი განცხადება არის პირველ რიგში არასერიოზული. როდესაც 2 დღეში 10-12 თეთრით ლარი უფასურდება, მაშინ, პირველ რიგში, მეტი სერიოზულობა მართებს ეროვნულ ბანკს, რომ კომენტარი გააკეთოს და მიზეზებზე ისაუბროს. თუმცა, საზოგადოებამ სრულიად საწინააღმდეგო მიიღო ეროვნული ბანკის პრეზიდენტისგან. მან ამ საკითხზე საუბარს თავი აარიდა.

***– რატომ, როგორ ფიქრობთ?***

– სავარაუდოდ, საქმე გვაქვს ისეთ რამესთან, რაც უფრო მეტ კითხვას გააჩენდა. დამატებითი კითხვები რომ არ გაჩენილიყო, სწორედ ამას აარიდა თავი ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

***– თქვენ მაინც რას უკავშირებთ, რას შეიძლება გამოეწვია ასეთ მოკლე პერიოდში ასეთი გაუფასურება?***

– მიმდინარე ფაქტორები, რასაც შეიძლებოდა ლარის კურსის გაუფასურება გამოეწვია, პრაქტიკულად, არ არსებობს. მხედველობაში მაქვს ის მაკრო-ეკონომიკური ფაქტორები, რომლებზეც ხშირად პოლიტიკური ჯგუფები თუ ექსპერტები აპელირებენ. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, ტურისტების ნაკადი, საგარეო ვაჭრობის ბრუნვაც და ა.შ.

ამიტომ ვამბობ, რომ ყველა ეს პარამეტრი იძლევა იმის საფუძველს, რომ ლარის კურსი სტაბილური ყოფილიყო და არ მომხდარიყო მისი ასეთი მყისიერი გაუფასურება ამ მოკლევადიან პერიოდში. ამიტომ, ჩვენ გვაქვს ისეთ რამესთან საქმე, როდესაც ინფორმაცია არ აქვს არავის, ეროვნული ბანკის და, შესაძლოა, ფინანსთა სამინისტროს გარდა.

***– ანალიზის შედეგად მაინც თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რა მოხდა?***

– ძალიან ბევრ რამეს შეიძლება გამოეწვია. თუნდაც შეიძლება ეს გამოეწვია მსხვილ ტრანზაქციას.

***– ტრანზაქციას?***

– დიახ, თავისუფლად არის შესაძლებელი, რომ ტრანზაქციას გამოეწვია. მიმდინარე წელი არის საკმაოდ დატვირთული მომსახურების ნაწილში და არ არის გამორიცხული, რომ



რომელიმე კომერციულ ბანკს მოეხდინა ეს ტრანზაქცია. თუმცა, ამ ტრანზაქციის შესახებ წინასწარ ეცოდინებოდა ეროვნულ ბანკს. თუ მართლაც მოხდა ასეთი ტრანზაქცია და ამან გამოიწვია ლარის მყისიერი გაუფასურება, მაშინ ეროვნული ბანკი ამისთვის მზად უნდა ყოფილიყო სწორედ იმიტომ, რომ ამას არ გამოეწვია ისეთი გაურკვევლობა, რაც გამოიწვია მოსახლეობაში და თავად ეკონომიკურ სუბიექტებში.

ძალიან ბევრი კითხვა არსებობს კომერციულ ბანკებთან დაკავშირებით სავალუტო გარიგებებში. შესაძლოა ამანაც გამოიწვია გარკვეული სახის გაუფასურება, რაც ასევე ეროვნული ბანკის პრეროგატივაა.

***– ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არცერთ ნორმალურ ქვეყანაში ეროვნული ბანკის პრეზიდენტი არ აკეთებს ასეთ მცირე რყევებზე კომენტარს.***

– თუ 2 დღეში 12 პუნქტით გაუფასურება მცირედია, თუ მოიყვანს პრეზიდენტი რომელიმე ქვეყნის მაგალითს, სადაც 2 დღეში 12 პუნქტით უფასურდება ეროვნული ვალუტა და ამაზე არ აკეთებს განმარტებას ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

***– ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ 2-3 პუნქტით გაუფასურება საგანგაშო არ არის და ის ბუნებრივად დარეგულირდება, ყოველგვარი ხელოვნური ჩარევის გარეშე. იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

– გეთანხმებით, რომ 2-3 თეთრით გაუფასურება მართლაც არ არის საგანგაშო, მაგრამ, როდესაც 12 თეთრით და ხშირ შემთხვევაში უფრო მეტითაც უფასურდება და ამაზე დუმს ყველა, აქ რეაგირებაა საჭირო.

***– რამდენად რეალური შეიძლება იყოს ის მოსაზრება, რომ ხელისუფლება არჩევნების წინ ხელოვნურად ინარჩუნებდა ამ კურსს და მას შემდეგ, რაც არჩევნები ჩაატარა, შედეგები დაიდო, პროცესები განვითარდა ისე, როგორც ვიხილეთ?***

– პირიქით, იმ ტენდენციებს, რომლებსაც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ეროვნული ბანკი ახორციელებდა, ლარის გამყარება უნდა მოეხდინა. თუმცა, პროცესები იქითკენ მიდიოდა, რომ შეუძლებელი იყო, ყველაფერი მომხდარიყო ისე, როგორც ეს ხშირ შემთხვევაში წარმოგვიდგენია. ძალიან ბევრი რამ შეიძლება ამ პროცესებთან დაკავშირებით ვივარაუდოთ. მთავარი კითხვის ადრესატი მაინც ეროვნული ბანკია.

***– პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, რომ ადგილობრივ არჩევნებზე შავი ფული ტრიალებდა, რასაც სერიოზული გამოწვევა უწოდა. რა შეგიძლიათ თქვათ ამ საკითხზე?***

– თუ ქვეყანაში შავი ფული არსებობს, ეს არის ეროვნული ბანკის პრობლემა და მის სისუსტეზე მეტყველებს. ქვეყანაში ფინანსური მონიტორინგის სამსახური არსებობს და, თუ მართლაც ტრიალებდა ქვეყანაში შავი ფული, მაშინ ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობის საკითხი რატომ არ იყო ამ ნაწილში დასმული?! მით უფრო, როდესაც ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.

კარგი იქნება, თუ ამ მიმართულებით პარლამენტი მოსთხოვს შესაბამის ანგარიშს ეროვნულ ბანკს. ეს სერიოზული საკითხია, ასე ერთი შეხედვით რთულია იმის თქმა, არის თუ არა ქვეყანაში შავი ფული. ერთადერთი კომპეტენტური და სამართლებრივი ორგანო ეროვნული ბანკია, რომელმაც უნდა დაადგინოს და ამ კითხვას პასუხი გასცეს.

# ნანა დევდარიანი: „სააკაშვილი ხელისუფლებაში ყოფნისთვის ყველაფერზე წავა“

გულიკო ბალაძე

გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი **ნანა დევდარიანი** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ უკრაინაში სააკაშვილის მხრიდან ნამდვილად დესტაბილიზაციის მცდელობას აქვს ადგილი.

***– ქალბატონო ნანა, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა უკრაინის დედაქალაქ კიევში კარავში დაიდო ბინა. ეს თქვენთვის რას ნიშნავს?***

– მახსოვს, სააკაშვილმა ოდესაშიც კარავში დაიდო ბინა, გზა უნდა გავიყვანოო და ის გზა დღესაც ისეა დარჩენილი, ბოლომდე არავის მიუყვანია. რა გითხრათ, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი სხვა ქვეყანაში კარავში ათევს ღამეს. რა უნდა, რას მოითხოვს.

***– სააკაშვილი სხვა ქვეყნის ოპოზიციის აქტივობებსა და ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესშია ჩაბმული. ყოფილი პრეზიდენტის ასეთი ქმედებები რაში წაადგება საქართველოს, როგორც სახელმწიფოს? იმავე ამერიკაში, მაგალითად, ყოფილი პრეზიდენტები ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ და ზოგჯერ პოლიტიკაშიც დიდ როლს ასრულებენ.***

– სააკაშვილი ხომ ის ადამიანია, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნისთვის ყველაფერზე წავა. იმდენიც არ ესმის, რომ მისი ქმედება საკუთარი ქვეყნის, პრეზიდენტის ინსტიტუტის, თანამდებობის პატივისცემიდან უნდა გამომდინარეობდეს. პრეზიდენტი იყო, ვინმე დაქირავებული საჯარო მოხელე ხომ არა. მაგრამ ამდენი არ ესმის. ოღონდ კი ტალღას მოექცეს თავში და რას არ იზამს. 2003 წელს რევოლუციურ ტალღას რომ მოაჯდა და შემდეგ, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალებით მოვიდა ხელისუფლებაში და თითქმის 10 წელი იყო. ჰგონია, რომ ისევ ისე იქნება. ისევ ისე ისტორიაში არ მეორდება. კირკეგორის ნათქვამია, ისტორიამ იცის გამეორება, ოღონდ ერთხელ, როგორც – ტრაგედიად, მეორეჯერ, როგორც – ფარსად. სააკაშვილი ფარსში მონაწილეობს, მაგრამ ვერ ხვდება,

***– შეიძლება, ის მონაწილეობდეს სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილ „ფარსში“?***

– ძალიან ხშირად სააკაშვილი რამეს რომ ჩაიდენს, იწყებენ ხოლმე ძებნას, ამერიკის დაგეგმილ პროცესებში მონაწილეობსო. სააკაშვილს,



ბევრი ნაკლის მიუხედავად, ჰქონდა ერთი თვისება. მას თავისი ამერიკელი მეგობრები ფაქტის წინაშე ხშირად დაუყენებია. ჯერ ჩაიდენს და მერე ამერიკელი მეგობრები მისი ნამოქმედარის გამოსწორებას ცდილობენ. მთავარია, იმით, რაც ახლა ხდება კიევში, ვინ ისარგებლებს, რუსეთი თუ ამერიკა. რუსეთს უფრო მეტი ინტერესი აქვს ამ წუთში, ვიდრე – შტატებს.

***– ამერიკა არც მიგულისხმია, მე უფრო მგონია, რომ რუსეთის, პოლონეთისა და უნგრეთის ინტერესებს ემსახურება ახლა სააკაშვილი.***

– უნგრეთთან ახლო კავშირი აქვს ადეიშვილს, სააკაშვილი იქ ჩასულიც იყო. სააკაშვილს პოლონეთთანაც ძალიან მჭიდრო კავშირი აქვს. რა თქმა უნდა, ისინი შეეცდებიან სააკაშვილის გამოყენებას. მათაც აქვთ გარკვეული ინტერესები უკრაინაში. საქმე იქით მიდის, უკრაინა არსებულ საზღვრებში, რომელიც სტალინმა შეკრა, ველარ იარსებებს. უნგრეთი თავისას წაიღებს, პოლონეთი თავისას წაიღებს, რუსეთი თავისას წაიღებს.

***– ამის ხელშემწყობად გამოდის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი. ოდესის ყოფილ გუბერნატორად კი მოიხსენიებენ, მაგრამ მაინც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტია. ეს ცუდ გავლენას არ ახდენს საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობაზე?***

– რა თქმა უნდა. სააკაშვილის ქმედებები ისევე ცუდ გავლენას ახდენს ორი ქვეყნის ურთიერთობაზე, როგორც ცუდ გავლენას ახდენდა ის, როცა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული, უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ ოდესის გუბერნატორად დანიშნა. როგორც სააკაშვილის გუბერნატორად დანიშვნა იყო ცუდი, ასევე ცუდია ის, რაც ახლა ხდება. ამ კაცს არ აქვს უნარი, თავის ინტერესებზე მაღლა სამშობლოს ინტერესები დააყენოს. საერთოდ არ ცნობს „სამშობლოს“ ცნებას. სააკაშვილმა ძალიან იოლად მიატოვა საქართველოს მოქალაქეობა, ძალიან მარტივად წავიდა პრეზიდენტისთვის შეუფერებლად ძალიან დაბალ თანამდებობაზე. მას ზომიერების გრძნობა დაქვეითებული აქვს.

***– სააკაშვილი ყოველთვის ამბობდა, რომ მას უნდა გარდაექმნა საქართველო და ქართველი ადამიანი. გახსოვთ ალბათ, ახალი ქართველის აღზრდა რომ უნდოდათ. ის საქართველო, რომელიც მას დახვდა, არ მოსწონდა, ვერც გარდაქმნა და ამიტომ სააკაშვილს სამშობლოს სიყვარულიც არ გააჩნია.***

– სხვათა შორის, სააკაშვილი ახალი მოსული იყო, როცა თქვა, ვინც შემოახტება მატარებელს, კარგი, ვინც არა, სამუდამოდ წარსულში ჩარჩებაო. თქვენ გგონიათ, ეს სააკაშვილის მოგონილი ფრაზაა? ეს არის მთელი მსოფლიოს გლობალიზატორების ფორმულა, რომლებიც ამბობენ, რომ გლობალიზაცია არის, როგორც ჩქარი მატარებელი. ვინც შეახტება, შეახტება, ვინც არა, ჩარჩება წარსულში. ამ კაცს ყურადღებით რომ მოუსმენ, მიხვდები, რომ ძალიან ბევრი აკენკილი სიბრძნე აქვს. გლობალიზაცია, რომელსაც საქართველოსნაირი ქვეყნები უნდა გადაეყლაპა, ფაქტობრივად, თვითონ არის მილევად რეჟიმში. ისტორიას აქვს თავისი კანონზომიერებები და არ არის დამოკიდებული ვიღაც ახირებული ადამიანების მოგონილ თეორიებზე.

***– სააკაშვილმა განაცხადა, პოროშენკო ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამაძევებს ქვეყნიდან, აგერ კარავში ვიცხოვრებ, პოროშენკოს უნდა, ივანიშვილს გადამცესო. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სააკაშვილს დაპატიმრებისა და საქართველოსთვის გადმოცემის ეშინია?***

– რა თქმა უნდა. მთელი მისი მოქმედება ბოლო წლების განმავლობაში სწორედ ამაზე მეტყველებს, თორემ, თავისი თავის პატივისმცემელი და ღირსებით სავსე ადამიანი თუ არის, ჩამოვიდეს და თქვას, გამასამართლეთ, აბა, რა დავაშავეო, მაგრამ სააკაშვილს ამისიც კი ეშინია.

***– მოგეხსენებათ, სააკაშვილის უკრაინაში ყოფნას თან სდევს მისი მომხრეების მიმოსვლა ამ ქვეყანაში. ჩე გევარასავით არიან, უნდათ, 2003 წლის რევოლუცია გადაიტანონ უკრაინაში. უკრაინის მთავარი პროკურორის განკარგულებით, რამდენიმე ქართველი, მათ შორის, პარლამენტის წევრი კობა ნაყოფიაც არ შეუშვეს ქვეყანაში, როგორც არასანდო პირები. კობა ნაყოფიას მოვუსმინე, გადაწყვეტილებას გავასაჩივრებ, გინდა თუ არა, უნდა შევიდეო. პარლამენტის წევრს რა უნდა უკრაინაში, რატომ არის იქ თვეობით?***

– ეტყობა, მიშამ გამოიძახა, ხომ უნდა ჩავიდეს. ძალიან სწორი გააკეთეს, რომ არ შეუშვეს. პარლამენტის წევრი იქნება თუ არა, ამ გადაწყვეტილებას კონკრეტული ქვეყანა იღებს. უკრაინაში ნამდვილად დესტაბილიზაციის მცდელობას აქვს ადგილი. ამიტომ ზომები მიიღეს და სწორადაც მოიქცნენ. თუმცა, აქ მეორე საკითხია, მათგან ჩე გევარა 100 წელი ვერ გამოვა. ჩე გევარა მაღალი იდეალებისთვის იბრძოდა. ის იბრძოდა ადამიანების თანასწორობისთვის, რასაც ძალიან დიდი ჰუმანური აზრი ჰქონდა. სააკაშვილსა და მის მეგობრებს ჰუმანიზმის მისხალი არ აქვთ. ეს არის ხალხი, რომელიც რეალურად არაფრის გამკეთებელია. მთელი ცხოვრება პიარით არიან დაკავებული, ძალადობაზე, შეჭრაზე, შევარდნასა და დამხობაზე არიან ორიენტირებული.

***– წარმომიდგენია, სააკაშვილი უკრაინის ხელისუფლებაში რომ მოვიდეს, ციხეებს როგორ გაავსებს, პიარით კი თითქოს წესრიგს დაამყარებს. შეიძლება დავუშვათ, რომ სააკაშვილი შეიძლება უკრაინის ხელისუფლებაში მოვიდეს?***

– გამორიცხულია. უკრაინა ჩვენზე გაცილებით დიდი ქვეყანაა. მეორეც – უკრაინაში ძალიან ძლიერი ნაციონალური განწყობებია. შეიძლება, ერთი სააკაშვილი რამენაირად აიტანონ, მაგრამ აქედან ჩასულ ქართველების ხელისუფლებას უკრაინელები არ აიტანენ, გამორიცხულია. სააკაშვილს ეყოლება თავისი ვიწრო ჯგუფი და ეგ იქნება. ახლა სააკაშვილს იყენებენ, როგორც ტარანს პოროშენკოს წინააღმდეგ. უკრაინის ხელისუფლებაში მოსასვლელად გამზადებული არიან ტიმოშენკო და სხვა პერსონები, რომლებსაც აქვთ ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზია საკმაოდ საფუძვლიანად. სააკაშვილი კი მხოლოდ ტარანის მოვალეობას ასრულებს.

# გარდაცვლილ სულხან მოლაშვილს ექიმის ცემის გამო ასამართლებენ

## სასამართლო 31 ოქტომბერს ჩაინიშნა

მანანა იაშვილი

პოლიტპატიმრისა და სტრასბურის სასამართლოს მიერ გამართლებული აწ გარდაცვლილი სულხან მოლაშვილის ოჯახს შეატყობინეს, რომ 31 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში ჩანიშნულია სასამართლო პროცესი, რომელზეც გარდაცვლილ სულხან მოლაშვილს, ციხის საავადმყოფოს ექიმის ცემის გამო, გაასამართლებენ.

ამ საქმის გამოძიება დაიწყო სულხან მოლაშვილის გათავისუფლებამდე დაახლოებით წელიწად-ნახევრით ადრე, როდესაც ის ციხის საავადმყოფოში იმყოფებოდა. მანამდე, სულხან მოლაშვილთან ერთად დაკავებულ იქნა კონტროლის პალატის თანამშრომელი გაგი ხვედელიძე, რომელსაც კატეგორიულად მოსთხოვეს, მოლაშვილის წინააღმდეგ მიეცა ჩვენება. ხვედელიძემ ჩვენება არ მისცა. ის დააპატიმრეს და აწამეს. წამების შედეგად ხვედელიძე დაავადმყოფდა, მაგრამ ციხის მედპერსონალი მას სათანადო კვლევასა და მკურნალობას არ უტარებდა.

აღძრული სისხლის სამართლის საქმის არსი კი ასეთი იყო:

მოლაშვილმა ციხის ექიმს მოსთხოვა, გაგი ხვედელიძისთვის ჩაეტარებინათ გამოკვლევა და ოპერაცია. ექიმი უარზე იყო, საუბარი გამწვავდა, ექიმი ლანძღვა-გინებაზე გადავიდა და სულხან მოლაშვილს ხელი ჰკრა, პასუხად მოლაშვილმა ექიმს სახეში გაარტყა. ამ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სულხან მოლაშვილის წინააღმდეგ, მაგრამ პარალელურად ციხის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, ხვედელიძე ქალაქის საავადმყოფოში გადაეყვანა. მოლაშვილის თხოვნით, მისი ადვოკატები ხვედელიძის მოსანახულებლად მივიდნენ საავადმყოფოში. მოგვიანებით ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე იხსენებდა, რომ ბადრაგის (დაცვად იდგნენ პალატასთან) ყველა წევრი მთვრალი დახვდათ. ადვოკატების წასვლიდან 15-20 წუთში ხვედელიძემ მთვრალ ბადრაგს ხელბორკილები დაადო და საავადმყოფოდან გაიქცა (ამ ფაქტის გამო ბადრაგის თანამშრომლები დააკავეს და მათ სასჯელი მოიხადეს).

სულხან მოლაშვილის ეს საქმე დიდი ხანია გამოძიებული და სასამართლოშია გადაცემული, მაგრამ სასამართლო პროცესი ახლა უნდა გაიმართოს. რატომ მოხდა ამ საქმის დროში ამდენად გაწელვა? სასამართლოში გვიპასუხეს, რომ დაგროვილი საქმეების უზარმაზარი რაოდენობაა და ყველა საქმეს თავისი რიგითობა აქვს.

**ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე:**

– სასამართლოს მიერ საქმის განხილვის 31 ოქტომბერს ჩანიშვნა ახლახან მაცნობეს. საქმე აწერია მოსამართლე ნინო ელიაშვილს. მე, რა თქმა უნდა, ისევ სულხან მოლაშვილის ინტერესებს დავიცავ, მაგრამ ჯერ არ გავცნობივარ საქმის საბოლოო ვარიანტს, რომელსაც ახლა სასამართლო განიხილავს. დიდი დრო გავიდა და დეტალები უნდა გავიხსენო.

***– საქართველოში არსებობს ასეთი პრეცედენტი, რომ გარდაცვლილ ადამიანს ასამართლებდნენ?***

– როგორ არა, ხდება ასეთი საქმეების განხილვა. ოღონდ არის დათქმა, რომ თუ გარდაცვლილის ადგილმონაცვლის სურვილია, გაგრძელდეს პროცესი, მაშინ ასეთი სასამართლო ჩატარდება, ხოლო თუ ადგილმონაცვლე თვლის, რომ შეწყდეს საქმე გარდაცვალების გამო, მაშინ შუამდგომლობით საქმე შეწყდება.

***– რას მისცემს ამ საქმის გაგრძელება სამართლიანობას, რას ელით?***

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ როდესაც მას ბრალი წაუყენეს, მაშინაც აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანს წაუყენეს ბრალი და ამიტომ ჩვენი შუამდგომლობა იქნება, სულხან მოლაშვილის გამამართლებელი განაჩენი დადგეს.

***– ექიმი სიცრუისა და პატიმრის მიმართ გულგრილობისთვის არ უნდა დაისაჯოს?***



– ეს უკვე სულ სხვა საქმე იქნება, პროკურატურის გადასაწყვეტია და ჩვენი მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. სასამართლოში ეს საქმე განხილვაშია, ვნახოთ, რას გადაწყვეტენ და იმის მიხედვით ვიმოქმედებთ.

***– სტრასბურმა სულხან მოლაშვილი გაამართლა, სამართლიანობა აღდგა. აქ არის კიდევ რამე განსახილველი?***

– სტრასბურმა დაავალა საქართველოს მხარეს ამ საქმის თავიდან გამოძიება, წამების ფაქტების ჩათვლით. აქ ახლა მიდის ამ საქმის თავიდან გამოძიება, რომელშიც, როგორც დაზარალებულის მხარის ადვოკატი, ასევე ვარ ჩართული.

ჩვენ დავუკავშირდით სულხან მოლაშვილის მეუღლეს, **თათია მოლაშვილს**, რომელმაც გვითხრა:

– ვაგრძელებ ბრძოლას, ჩემი ოჯახი არ უნდა იყოს გამამტყუნებელი. მაშინ სულხანის წინააღმდეგ ციხის ადმინისტრაციამ აღძრა ეს ბრალდება. მე რომ დავწერო განცხადება და მივმართო პროკურატურას, რომ სულხანის გარდაცვალების გამო შეწყდეს საქმე, სულხანი გამტყუნდება. ამას კი არ დავუშვებ! ახლა უკვე სასამართლოს გადასაწყვეტი იქნება, სულხანი გამართლდება თუ მას გაამტყუნებენ. მაშინ შალვა ხაჭაპურიძე იყო ადვოკატი და ახლაც ის გააგრძელებს საქმეს. თვითონ სულხანიც გააგრძელებდა ბრძოლას. მე კი ვარ შემართებით და იმედი მაქვს, ყველაფერი სამართლიანად გადაწყდება.

***– ენდობით სასამართლოს?***

– აბა რა გითხრათ, როდესაც მურუსიძე ისევ სასამართლოშია წამყვან პოზიციებზე, ყველაფერია მოსალოდნელი. გამოჩნდება, რა უნდათ და რას აპირებენ, მე კი ვარ საბრძოლველად შემართული და ბოლომდე ვიბრძოლებ, დარწმუნებული ვარ, სულხანიც ასე მოიქცეოდა.

პატიმართა უფლებადამცველი **ნანა კაკაბაძე** ამბობს:

– ეს საქმე მაშინ იმიტომ დაიწყო, რომ სულხანზე დამატებითი ზეწოლა მოეხდინათ. მაშინ სტრასბურში იყო საქმე გაგზავნილი და გადაწყვეტილებას ელოდნენ. წამებულ და დაინვალიდებულ ადამიანს ხელის გარტყმით რა ზიანის მიყენება შეეძლო ჯანმრთელი ექიმისთვის, ხომ წარმოგიდგენიათ. მეორე მხრივ, ნაციონალების ხელისუფლება საზოგადოებრივ აზრზე ცდილობდა გავლენის მოხდენას და სულხანის გაუწონასწორებელ ადამიანად ჩვენებას. დღემდე ეს საქმე არც გაუჩერებია და არც გაურჩევია ახალ ხელისუფლებას. სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ სასამართლო სააკაშვილის დროინდელ გზას მისდევს და წამებულ, გარდაცვლილ ადამიანს საფლავშიც არ ასვენებს.

# „ან მღებრიშვილს გაუშვებენ სახლში, ან მთელ ხელისუფლებას მოუწევს წასვლა“

## ზვიად კუპრავა: „ქუჩაში ადამიანების დახოცვის ფაქტები სულ უფრო მატულობს“

შორენა მარსაგიშვილი



„ქართული ოცნების“ მომხრეები ხელისუფლების უნიათობას შემდეგნაირად ამართლებდნენ – მართალია, არაფერს აკეთებენ, მაგრამ ხალხს ქუჩაში მაინც არ ხოცავენო. რაღაც პერიოდი მართლაც კარგად იყო საქმე, მაგრამ შემდეგ პოლიციის მხრიდან ისევ მოიმატა ძალის გადამეტებამ, რასაც ადამიანების დაღუპვა მოჰყვა.

ბოლო ასეთი შემთხვევა 25 ოქტომბერს თბილისში მოხდა. ნუცუბიძეზე ჩატარებული ოპერაციის დროს, დაკავების მომენტში პაატა პავლიაშვილი დაიღუპა. სამართალდამცავები მის დაღუპვას იმ ფაქტს უკავშირებენ, რომ ის დაკავების მომენტში არაფხიზელ მდგომარეობაში იყო და ცუდად ამიტომ გახდა.

რატომ იჩქარა შსს-მ განცხადების გავრცელება, რა არჩევანის წინაშე დადგა ხელისუფლება, აქვს თუ არა ადგილი პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებას, რატომ უნდა გადადგეს შინაგან საქმეთა მინისტრი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ესაუბრება.

**ზვიად კუპრავა:**

– 21 წლის ბექა ხახუბიას დაღუპვას სათანადო რეაგირება რომ მოჰყოლოდა, შესაძლოა 2 დღის წინ ნუცუბიძის პლატოზე ის ტრაგედია არ დატრიალებულიყო. ხახუბიას დაღუპვიდან რამდენიმე თვე გავიდა, მაგრამ დღემდე არ ვიცით, ვინ გასცა მისთვის ტრაილერით გზის გადაკეტვის ბრძანება. ის ადამიანები, რომელთა გამოც 21 წლის ბიჭი დაიღუპა, ქუჩაში თავისუფლად დადიან.

არადა, 25 ოქტომბერს ადმინისტრაციული გადაცდომისთვის აკავებდნენ პაატა პავლიაშვილს. მას ბორკილებს ადებდნენ და სწორედ ამ დროს გარდაიცვალა ახალგაზრდა კაცი.

ადმინისტრაციული გადაცდომა მხოლოდ დაკავებას არ ითვალისწინებს. აქ თავისუფლად შეიძლება სხვა მსუბუქი ღონისძიებების გატარება – მაგალითად, ხელწერილი. პოლიციას შეუძლია, ამით შემოიფარგლებს.

***– ადმინისტრაციული გადაცდომისას დაკავება აკრძალულია?***

– აკრძალული არ არის, მაგრამ, რადგან პაატა პავლიაშვილის დაკავება გადაწყვიტეს, აქ უკვე იმ ფორმებს აქვს მნიშვნელობა, რომლებითაც მოხდა დაკავება. გასარკვევია, ჰქონდა თუ არა ძალის გადამეტებას ადგილი.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ადამიანი დაკავების მომენტში გახდა ცუდად. ასეთ დროს სამართალდამცავები ვალდებულები არიან, ამ ადამიანის სიცოცხლის გადარჩენაზე იზრუნონ. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში პოლიციამ პაატა პავლიაშვილისთვის თავისუფლების შეზღუდვაზე იზრუნა, რასაც მისი გარდაცვალება მოჰყვა.

აუცილებლად უნდა გაირკვეს, ჰქონდა თუ არა პოლიციას პავლიაშვილის დაკავების საფუძველი. დასადგენია ისიც, ჰქონდა თუ არა დაკავების მომენტში ძალის გადამეტებას ადგილი, რამაც გამოიწვია გარდაცვალება.

აუცილებლად უნდა გვითხრან ისიც, როცა ადამიანი ცუდად გახდა, გამოიძახა თუ არა პატრულმა სამედიცინო დახმარება. სასწრაფოს დაგვიანების შემთხვევაში აღმოუჩინა თუ არა საპატრულო ეკიპაჟმა პაატას დახმარება. ყველა ეკიპაჟს მანქანაში უდევს ის წამლები, რომლებიც პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის აუცილებელია.

ყველა პატრულ-ინსპექტორს ექიმებთან სპეციალური კურსები აქვს გავლილი. ყველამ იცის გულის მასაჟის გაკეთება და ხელოვნური სუნთქვა. პატრულის შექმნის იდეა სწორედ ის იყო, რომ ის მოქალაქეებისთვის გარკვეული სერვისი ყოფილიყო. არაერთხელ ყოფილა, რომ შემთხვევის ადგილზე სასწრაფოზე ადრე მისულა პატრული და მას აღმოუჩენია მოქალაქეებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარება.

იმედი მაქვს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ კითხვებს გასცემს პასუხს. თუმცა არის ერთი მაგრამ.... პავლიაშვილის დაღუპვიდან სადღაც 10 წუთში შსს-მ გააკეთა განცხადება, რომელიც პირადად ჩემთვის იყო შეურაცხმყოფელი.

***– თქვენთვის რატომ იყო შეურაცხმყოფელი?***

– შეურაცხმყოფელი იყო იმიტომ, რომ მათ განცხადება პატრულის თანამშრომლებზე დაყრდნობით გააკეთეს, რომლებიც შესაძლოა პოტენციური დამნაშავეები იყვნენ. რატომ შეიძლება, ისინი დამნაშავეები იყვნენ, ამის შესახებ ზემოთ გესაუბრეთ.

პოტენციურ დამნაშავეებზე დაყრდნობით, ისე, რომ ექსპერტიზის დასკვნა არა აქვთ, შსს ამბობს, რომ პაატა პავლიაშვილი ნარკოტიკული და ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, აქვს ფსიქიკური პრობლემები და ა.შ. ისინი გარდაცვლილ ადამიანს ახოცავენ ხელს, რომელიც თავს ვერ გაიმართლებს. მისთვის თავის გამართლების ერთადერთი საშუალება არის ექსპერტიზის დასკვნა, რომელსაც შსს არ ელოდება და პოტენციურ დამნაშავეებზე დაყრდნობით ავრცელებს განცხადებას. საზოგადოებაში ქმნიან ისეთ ფონს, თითქოს პაატა კრიმინალი და ნარკომანი იყო.

ეს განცხადება არის მესიჯი იმ პოლიციელების მიმართ, რომლებსაც დაკავების დროს ძალის გადამეტებისკენ აქვთ მიდრეკილება. ეს შსს-ს ზოგიერთი თანამშრომლის ქრონიკული ავადმყოფობაა – მათ არ შეუძლიათ, ესა თუ ის პირი კანონის დაცვით დააკავონ.



ასეთი ულირსი პოლიციელები ყოველთვის იყვნენ და მომავალშიც იქნებიან, მაგრამ შსს-ს განცხადება მათთვის იყო მესიჯი – აკეთეთ, რასაც აქამდე აკეთებდით და დაკავებისას თუ ვინმე მოკვდა, მას დავაბრალებთ, თუ გადარჩა, მაინც მას დავაბრალებთ. ასეთი დამოკიდებულება ძალიან სახიფათოა.

იმედია, კამერები გაიხსნება და ჩვენ თავად დავრწმუნდებით, რამდენად კანონიერად მოქმედებდა პოლიცია.

***– სამხრე კამერები პატრულის ყველა თანამშრომელს უკეთია?***

– პატრული ვალდებულია, მოქალაქეებთან კომუნიკაცია კამერების თანხლებით აწარმოოს. თუ არ ჰქონდათ ეს კამერები, მაშინ იმის ახსნა მოუწევთ, რატომ არ ჰქონდათ. არ გამოვრიცხავ, რომ ეს ჩანაწერები არ გამოაჩინონ და განმეორდეს ის, რაც ბექას შემთხვევაში მოხდა – იმ ტრაგედიიდან რამდენიმე თვე გავიდა და დღემდე არ ვიცით, ვისი ბრძანებით გადაიკეტა გზა ტრაილერით.

პაატა პავლიაშვილისა და ბექა ხახუბიას გარდა, სხვა შემთხვევებიც იყო. ქუთაისში მირზა გოჩუაძეს კეფაში ესროლა პატრულმა. ის ბიჭი მოკვდა. ეს ამბავი ბექა ხახუბიას შემთხვევის ანალოგია. მირზა გოჩუაძეს მართვის მოწმობა არ ჰქონდა და ამიტომ ესროლეს კეფაში.

ამ დროს პოლიციის შესახებ კანონში გვიწერია, სულ კრიმინალთან და ყაჩაღთან რომ გქონდეს საქმე, თუ ის კონკრეტულ საფრთხეს არ უქმნის საზოგადოებასა და პოლიციას, მისთვის ცეცხლის გახსნა არ შეიძლება.

კეფაში მოხვედრილი ტყვია იმას ნიშნავს, რომ მირზა გოჩუაძე გარბოდა, სხვანაირად მას ტყვია ამ ადგილას არ მოხვდებოდა. თუ ადამიანი გარბის, საფრთხეს არ გიქმნის, თან ისიც არ იცი, დამნაშავეა თუ არა, ამ დროს სროლა როგორ შეიძლება.

შემიძლია გავიხსენო დემურ სტურუას გარდაცვალების ფაქტიც. ასეთი ფაქტები, სამწუხაროდ, ძალიან მომრავლდა.

***– არადა, ეს ხელისუფლება თავს იმით იწონებდა და მისი მომხრეები ხშირად ამბობენ, რომ ქუჩაში ხალხს აღარავინ ხოცავს.***

– „ოცნება“ ძალიან ხშირად ამბობს, რომ ნაციონალების დროს ხალხს ქუჩებში ხოცავდნენ. კი ბატონო, ხდებოდა ასეთი ამბები და ეს ძალიან ცუდი იყო. და თავად რატომ იმეორებენ ამას?! განა რამდენი ადამიანი უნდა მოკლან, რომ ვიღაცამ ხმა ამოიღოს.

ძალიან მეცოდება და მენანება ბუტა რობაქიძე, მაგრამ ახლა არანაკლებ ტრაგიკული შემთხვევები გვაქვს. ბუტას შემთხვევაში პოლიციელმა იარაღს ვერ უპატრონა, გაუვარდა, ტყვია მწოლიარე რობაქიძეს მოხვდა და ის გარდაიცვალა. მაგრამ ამ პოლიციელმა ამისთვის პასუხი აგო.

21 წლის მირზა გოჩუაძეს, რომელიც გარბოდა, პოლიციელმა იარაღი დაუმიზნა და თავში მოარტყა. ამის მერე საერთოდ როგორ ამბობენ, ქუჩაში ხალხს არ ხოცავენო.

ხშირად უყვართ საუბარი იმ სისხლიან 9 წელზე. უკაცრავად, მაგრამ მათი მმართველობის 5 წელი ბევრად უფრო სისხლიანია, ვიდრე იმათი მმართველობის 5 წელი.

***– ვითომ ეს 5 წელი უფრო სისხლიანია? არის იმის ფაქტები, რომ ადამიანები ქუჩაში დახოცეს?***

– რამდენიმე მაგალითი უკვე მოგიყვანეთ. ძალიან ბევრი ფაქტი არ გახმაურებულა. ამის შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია არ აქვს, რადგან შსს მათ არ ასაჯაროებს. ასეთი ფაქტების შესახებ ჩვენს ორგანიზაციას აქვს ინფორმაციები და, როგორც შეგვიძლია, ვაპროტესტებთ.

ამ ფაქტების შესახებ მე პირადი კომუნიკაციებით ვიცი. ამასთან დაკავშირებით შსს-ში არაერთი წერილი გავაგზავნე და ეს ფაქტები დადასტურდა.





კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან. ავჭალაში მოტოციკლეტისტს გამოეკიდა პატრული და მოტოციკლი ხეს შეასკდა. მოტოციკლი 200 კმ.სთ სიჩქარით რომ გარბის, როგორ შეიძლება, მას 220-ით რომ მისდევ. ასეთ დროს რისკის დონე მაღალია და პატრულმა რაღაც სხვა ზომებს უნდა მიმართოს.

***– თქვენ ამბობთ, რომ ამ ფაქტების გასაჯაროება არ ხდება, მაგრამ იმ ფაქტებზე რატომ არა აქვს ხალხს რეაქცია, რაც გასაჯაროვდა და რომელთა შესახებაც ყველამ ვიცით?***

– არ ვიცი, რატომ დუმს საზოგადოება. ადამიანებს ახლაც ხოცავენ ქუჩაში, როგორც ეს 9 წლის განმავლობაში ხდებოდა. მაშინ ამ ფაქტებს აქტიურად აპროტესტებდა საზოგადოება. ეს პროტესტი მისასალმებელი იყო. დღეს პროტესტის ასეთი მუხტი საზოგადოებაში აღარ არის.

მახსენდება, თინა ხიდაშელი და ანა დოლიძე როგორ დადიოდნენ ბუტა რობაქიძის საფლავზე. იქ აუცილებლად უნდა მისულიყვნენ, მაგრამ იგივე ეს ადამიანები რატომ არ მივიდნენ ბექა ხახუბიას საფლავზე?! თუ უკანონობას აპროტესტებენ, მაშინ სხვების საფლავებზეც მივიდნენ.

საზოგადოებას ნებისმიერ ასეთ ფაქტზე მკვეთრი რეაქცია უნდა ჰქონდეს, რომ შემდეგში ასეთი რამ აღარ განმეორდეს. ჩვენ ახლა პაატა პავლიაშვილის ამბავს თუ ჩავყლაპავთ, ხვალ შეიძლება იგივე მოხდეს.

სასწრაფოდ უნდა დადგეს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის პასუხისმგებლობის საკითხი.

***– მინისტრის გადადგომა აუცილებელია?***

– მინისტრი აუცილებლად უნდა გადადგეს. როგორც ჩანს, ეს კაცი ვერ მართავს სიტუაციას და პოლიციელებს არ ეუბნება, რომ ადამიანების დაკავებისას ძალის გადამეტება არ შეიძლება.

დამნაშავე აუცილებლად უნდა დააკავო, მაგრამ ამასაც აქვს თავისი წესები და ის ყველამ უნდა დაიცვას. წინა ხელისუფლების მიმართ მთავარი პრეტენზია სწორედ ეს იყო. ასე რომ, საზოგადოება ერთმანეთის სადარაჯოზე უნდა დადგეს. ასე თუ არ გავაკეთებთ, ხვალ ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება გახდეს ძალის გადამეტების მორიგი მსხვერპლი.

პირადად მე პატრულის ყველა კანონიერ მოთხოვნას ვემორჩილები, მაგრამ მქონდა შემთხვევა, რომ საპატრულოს მოთხოვნაზე მანქანა არ გავაჩერე – მართვის მოწმობა არ მქონდა თან. მანქანის გაჩერება არ მოვისურვე, მაგრამ, დარწმუნებული არ ვიყავი, რომ არ მესროდნენ.

არ შეიძლება, ადამიანები ასეთი შიშის ქვეშ იყვნენ. კანონი დაცული უნდა იყოს, მაგრამ ყველაფერზე სროლა არ შეიძლება.

***– თქვით, მანქანას მართვის მოწმობის გარეშე ვმართავდიო. ახლა ყველა იტყვის, რა უფლებით მოუწოდებთ ვინმეს კანონის დაცვისკენ, როცა თავად ჩადიხართ უკანონობას.***

– მართვის მოწმობის გარეშე მანქანის მართვა არის გადაცდომა, რაზედაც პასუხი უკვე ვაგე და ჯარიმა გადავიხადე. მართვის მოწმობის გარეშე საჭესთან დაჯდომა დანაშაული არ არის.

***– ზემოთ ამბობდით, რომ მღებრიშვილი უნდა წავიდეს. მინისტრის შეცვლით სიტუაცია შეიცვლება? ჭიკაიძეც შეიცვალა, მაგრამ რა, ისევ პრობლემებია ამ სისტემაში.***

– მინისტრის შეცვლით რომ სიტუაცია გაუმჯობესდება, ამის მტკიცება წინასწარ გამიჭირდება. სამაგიეროდ, ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ მღებრიშვილი სიტუაციას ვერ მართავს. თუ ის არ მართავს შსს-ს და ამ უწყებას ვიღაც არაფორმალი მართავს, ეს მთლად უარესია.

მინისტრის პასუხისმგებლობა თუ არ დადგება, „ქართული ოცნებას“ იგივე მოუვა, რაც ნაციონალურ მოძრაობას მოუვიდა. თავის დროზე არც მათ დააყენეს კონკრეტული თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი და ამის გამო ხალხმა მთელი ხელისუფლება სახლში გაუშვა. ყველამ ვნახეთ, როგორ წავიდნენ ისინი 2012 წლის არჩევნების შემდეგ სახლში. ამათ, შესაძლოა, არჩევნებამდე ვერც კი მიაღწიონ. ახლა „ოცნებაზეა“ არჩევანი – ან მღებრიშვილს გაუშვებენ სახლში, ან მთელ ხელისუფლებას მოუწევს წასვლა.

# „ლარის კურსი ისეთია, როგორიც ბანკებს უნდათ“

## დემურ გიორხელიძე: „კარგი და ახალი არაფერი ხდება“

ნონა ცაბაძე




ლარის კურსის რყევებსა და ეკონომიკურ საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი **დემურ გიორხელიძე** პასუხობს.

***– ბატონო დემურ, არჩევნების დასრულებისთანავე ლარმა გაუფასურება დაიწყო. მოვისმინეთ შეფასებები, რომ ეს ყველაფერი სწორედ არჩევნებს უკავშირდება და აქამდე დაბმულმა ლარმა აიწყვიტა. რას იტყვით თქვენ, რა ხდება?***

– არაფერი ახალი არ ხდება. ამიტომ აქ არჩევნები ნამდვილად არაფერ შუაში არ არის. ყველა პრობლემა, ობიექტური პრობლემა, რომლებიც ლარის კურსის არამდგრადობას განაპირობებდა, კვლავაც შენარჩუნებულია, არცერთი საკითხი მოგვარებული არ არის. ამას ემატება ის სუბიექტური ნაწილი, როცა მონეტარული პოლიტიკა არ შეესაბამება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ამოცანებს. მათთვის ეს პრიორიტეტები არც არსებობს.

***– გაგრძელდება ეს ტენდენცია?***

– ეს ძალიან კარგად კონტროლირებადი პროცესია, ლარის მუდმივი რყევა ზევით-ქვევით ყოველთვის ძალიან მძიმეა მოსახლეობისა და ბიზნესისთვის. ჩვენ ყველანი ვიხდით ამის საფასურს. ლარის ასეთი მკვეთრი მოძრაობები ყოველთვის დანახარჯებთან არის დაკავშირებული და მოსახლეობა იხდის ამის საფასურს. თუმცა ეს ყველაფერი არ არის შემთხვევითი.

***– მიზანმიმართული პროცესია?***

– იმ ულტრალიბერალური განცხადებების ავტორები, რომ ეროვნული ბანკი არ ერევა ბაზრის საქმიანობაში, პროფესიულად არშემდგარი ადამიანები არიან. არ შეიძლება, ასეთი სისულელე ილაპარაკოს ადამიანმა! პრობლემები პრობლემებად რჩება, კურსი ისევ ყალიბდება ბლუმბერგის ბირჟაზე ვაჭრობით და ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ეროვნული ბანკი, ნაცვლად იმისა, რომ მონეტარული პოლიტიკის ზრდასა და დასაქმებაზე იყოს ორიენტირებული, რამდენიმე კომერციული ბანკის ზედამხედველად და ხელშემწყობად რჩება. სულ ეს არის მისი ფუნქცია!

***– ანუ არჩევნები ლარის ასეთ მკვეთრ გაუფასურებასთან არანაირ კავშირშია?***

– აქ არჩევნები არაფერ შუაშია. ეს განცხადებები არასერიოზულია. არაფერი ისეთი არ მომხდარა არჩევნებზე, რომ ლარის კურსი შეათამაშოს. აქ ხდება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი რამ, როცა ლარის კურსის ფორმირება დღის განმავლობაში ორი-სამი ბანკის ვაჭრობის შედეგების მიხედვით ხდება. ეს ძალიან კარგად იციან ბანკებმა და შესანიშნავად სარგებლობენ ამით.

***– გამოდის, რომ ამ ბანკებს როგორც აწყობთ, ისეთი ლარის კურსი იქნება მეორე დღეს?***

– ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა. საქართველოში 25 წელია, ერთადერთი პრობლემა ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ჯგუფების პოლიტიკური პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი და ამბიციებია, რომ შენი ქვეყანა ძალიან მძლავრი განვითარების ტრაექტორიაზე გაიყვანო. არ არის ეს, ამიტომ ნებისმიერმა ხელისუფლებამ, რომელიც ამ 25 წლის განმავლობაში ფორმულირებული იყო ლიდერი ბელადის სიყვარულის საფუძველზე, ადამიანებმა, რომლებიც შემთხვევით მოდიან პოლიტიკაში, ვიღაცის მატარებელში შემხტარნი, შესანიშნავად იციან, რომ დროებით არიან ამ თანამდებობებზე და ამიტომ აკეთებენ იმას, რასაც აკეთებენ – იწყობენ საკუთარ კეთილდღეობას!

***– როგორია თქვენი პროგნოზი? ზამთარი მოდის, მოსახლეობა შეშინებულია, რადგან ლარის გაუფასურება ყოველთვის მოსახლეობის ჯიბეს ურტყამს. რას ელოდებით?***

– არ ვფიქრობ, რომ რაიმე კატასტროფული გველის. ჩვეულებრივი ქართული ზამთარი იქნება. უდიდეს უმრავლესობას უჭირს, სიღარიბე ძალიან მაღალია, დასაქმება ძალიან დაბალია. საქართველოს მოსახლეობა მიგრაციის ძალიან მაღალი ტემპის გამო გასულ წლებთან შედარებით შემცირდა დაახლოებით 20.000 ადამიანით. ასე რომ, პროცესი მიდის ჩვეულებრივ, კარგი და ახალი არაფერი ხდება.

# კომპანიებს ექსპორტში ახალი სააგენტო დაეხმარება

ექსპორტის ხელშეწყობის სააგენტოს ჩამოყალიბების სტრუქტურა უკვე ცნობილია. საპარტნიორო ფონდის მიერ „საქმის კურსისთვის“ ექსკლუზიურად მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საპარტნიორო ფონდი ჩამოაყალიბებს შვილობილ სტრუქტურას – სადაზღვევო კომპანია საქართველოს ექსპორტის საკრედიტო სააგენტოს.

სააგენტო ჩამოყალიბდება სააქციო საზოგადოების ფორმით და იქნება სადაზღვევო რეგულირების ქვეშ.

საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელის მოადგილე ნათია თურნავამ „საქმის კურსს“ განუცხადა, რომ პირველ ეტაპზე სააგენტოს საქმიანობა მოიცავს ექსპორტის საკრედიტო დაზღვევას და გარანტიების გაცემას. ფონდი სააგენტოში 20 მილიონი დოლარის ინვესტიციით შედის.

– ეს სტრუქტურა პრაქტიკულად უპასუხებს ორ პრობლემას, რომლის წინაშეც დღეს დგანან ჩვენი ექსპორტიორი კომპანიები. ეს პირველ რიგში არის საბრუნავი საშუალებების ნაკლებობა, რის გამოც სწრაფად ვერ ზრდიან მიწოდებას და მეორე ეს არის გარკვეული რისკები, დაკავშირებული საექსპორტო ქვეყნებთან და იმ მყიდველებთან, რომლებიც არ იმყოფებიან საქართველოში.

ამ ორი პრობლემის ადრესირებას მოახდენს სააგენტო ანუ გამოყოფს დამატებით გარანტიებს, რის საფუძველზეც და რისი უზრუნველყოფითაც ექსპორტიორები შეძლებენ, მეტი საბრუნავი კაპიტალი მოიზიდონ ბანკებიდან და მეორე დააზღვევს მათ კონტრაქტებს იმპორტიორებთან, მათ შორის პოლიტიკური რისკებისგან, კომერციული და სხვა ასეთი ტიპის რისკებისგან, – აცხადებს ნათია თურნავა.




საკრედიტო დაზღვევისა და გარანტიების ასამოქმედებლად შემუშავდა კანონპროექტი პარლამენტში წარსადგენად. სწორედ პარლამენტის მიერ კანონის დროულად მიღებაზეა დამოკიდებული, თუ როდის ამოქმედდება სააგენტო.

საქართველოს პარლამენტის მიერ კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ ექსპორტის საკრედიტო სააგენტოს შეეძლება სადაზღვევო ლიცენზიის მიღება და, შესაბამისად, საქმიანობის განხორციელება. სააგენტო ძირითადად საპარტნიორო ფონდის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდება.

სააგენტოს ექსპორტის საკრედიტო დაზღვევა ექსპორტიორ კომპანიებს საშუალებას მისცემს დააზღვიონ საქონლის და/ან მომსახურების მიწოდებიდან წარმოქმნილი კომერციული და პოლიტიკური შემთხვევით გამოწვეული გადავადებული გადახდების საკრედიტო რისკი. აღნიშნული საკრედიტო დაზღვევის პოლისი გაიცემა 12 თვემდე ვადით, განახლების შესაძლებლობით. პროდუქტი მორგებულია საქართველოდან განხორციელებულ საექსპორტო პროდუქტებზე, რომელთაც ძირითადად ახასიათებთ წლის განმავლობაში რამდენიმე გადატვირთვის საჭიროება და მოკლე კონსიგნაციის პერიოდი. საქართველოს საექსპორტო მიმართულებების გათვალისწინებით, სააგენტო განახორციელებს საკრედიტო დაზღვევას საშუალო და მაღალ რისკიან ბაზრებზე.

სააგენტოს მიერ საქართველოში გადამუშავების შედეგად დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის ექსპორტს მიენიჭება პრიორიტეტი.

ფონდში განმარტავენ, რომ საკრედიტო დაზღვევა ექსპორტიორებს შეუმცირებს ქვეყნის გარეთ არსებულ საკრედიტო რისკებს, ასევე მისცემს მათ საშუალებას, თანხები მოიძიონ სააგენტოს მიერ დაზღვეული ინვოისების კომერციულ ბანკებთან ფაქტორინგული ოპერაციებით.

# საქსტატი: „ხუთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 336 ლარი და 40 თეთრია“

სექტემბერში საქართველოში საარსებო მინიმუმი გაიზარდა და შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმმა 168,8 ლარი შეადგინა. საქსტატის მონაცემებით, წინა თვესთან შედარებით, საარსებო მინიმუმი 1,4 ლარით გაიზარდა, წლიურად კი – 11,5 ლარით.



საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 149,5 ლარია, ხოლო საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი 283 ლარს და 20 თეთრს შეადგენს.

საარსებო მინიმუმი ოჯახის ტიპების მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრა:

ორსულიანი – 239,2 ლარი
სამსულიანი – 269,1 ლარი
ოთხსულიანი – 299 ლარი
ხუთსულიანი – 336,4 ლარი
ექვსსულიანი და მეტი – 397,7 ლარი.

2004 წლიდან საქსტატი საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს ანგარიშობს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია და დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის N111/ნ ბრძანების შესაბამისად.

2004 წლამდე საქსტატი საარსებო მინიმუმის მაჩვენებლების გაანგარიშებას ახორციელებდა სხვა მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე.

აღნიშნული მეთოდოლოგიური ცვლილებით აიხსნება 2004 წლამდე და 2004 წლის შემდგომი პერიოდისათვის გაანგარიშებულ მონაცემებს შორის სხვაობა.

# ბათუმში „სემირამიდას ბაღების“ კომპლექსის მშენებელი კომპანია სასტუმროს გახსნის გადავადებას ითხოვს



ბათუმში „სემირამიდას ბაღების“ კომპლექსის მშენებელი აზერბაიჯანული კომპანია ობიექტის გახსნის გადავადებას ითხოვს. ამის შესახებ კომპანიამ აჭარის მთავრობას უკვე მიმართა.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში განმარტავენ, რომ პროექტის განმახორციელებელი აზერბაიჯანული კომპანია „გლორია „ ექსპლოატაციაში მიღების ვადის გახანგრძლივებას 2018 წლის აპრილამდე ითხოვს. ავტომატურად, განიხილება ჯარიმისგან გათავისუფლებაც.

სამინისტროში აცხადებენ, რომ კომპანიამ განაცხადი უკვე შეიტანა და საკითხი განხილვაშია.

– კომპანიას მშენებლობა დასრულებული აქვს, განხორციელებული აქვს ინვესტიციის ნაწილი, რა ვალდებულებაც ჰქონდა, – აცხადებენ სამინისტროში.

პროექტი 2010 წელს დაიწყო, „სემირამიდის ბაღები“ მიმდინარე წლის 31 აგვისტომდე უნდა გახსნილიყო. პროექტის მშენებელ კომპანია „მაფაში“ „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებდნენ, რომ ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელიც აზერბაიჯანული ინვესტიციით შენდებოდა, საშუალო და მაღალ სეგმენტზე იქნებოდა გათვლილი.

2015 წლის მარტში მშენებელ კომპანია „მაფაში“ „კომერსანტთან“ აცხადებდნენ, რომ ზღვისპირა ქალაქის ახალ ბულვარში „სემირამიდას ბაღების“ კომპლექსის ასაშენებლად დაახლოებით 35 მილიონი დოლარი დაიხარჯებოდა.

– 12-სართულიან შენობაში მინიმუმ ორ ადამიანზე გათვლილი 154 ნომერი მოეწყობა. სასტუმროში სამი საცურაო აუზის, სპა ცენტრისა და კაზინოს გახსნაც იგეგმება, – აცხადებდნენ 2015 წლის მარტში სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელი კომპანია „მაფაში“.

**კომერსანტი**

# მსუბუქი ავტომობილების იმპორტი საქართველოში 3 მილიონი დოლარით შემცირდა



იანვარ-სექტემბერში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მსუბუქი ავტომობილების იმპორტი საქართველოში შემცირდა.

„საქსტატის“ მონაცემებით, მიმდინარე წლის პირველ 9 თვეში ავტომობილების იმპორტი 3 მილიონი დოლარით არის შემცირებული, თუმცა მიუხედავად შემცირებისა, ის უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფების ჩამონათვალში მეორე ადგილს იკავებს.

კერძოდ, საანგარიშო პერიოდში მსუბუქი ავტომობილების იმპორტი 339 მილიონი დოლარი იყო, მაშინ, როცა 2016 წლის იანვარ-სექტემბერში იმპორტმა 342 მილიონი შეადგინა.

შეგახსენებთ, რომ 2017 წლის იანვრიდან „საგადასახადო კოდექსში“ შესული ცვლილებების თანახმად, მსუბუქ ავტომობილებზე აქციზის გადასახადი გაიზარდა, მარჯვენასაჭიანების შემთხვევაში გასამმაგდა, ჰიბრიდული ავტომობილების შემთხვევაში კი შემცირდა.

# „ტექდათვალიერების ამოქმედება ავტოგაზის მოხმარებას შეამცირებს“

– ტექდათვალიერების პროცესი იმ ფორმით თუ წავიდა, როგორც მიდის, ავტოგაზის მოხმარება შემცირდება.

ამის შესახებ ნავთობიმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილმა „რადიო პალიტრას“ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა.

მისივე თქმით, ტექდათვალიერების ამოქმედების შემდეგ შესაძლოა ბუნებრივ აირზე მომუშავე ავტომობილების 50% გაჩერდეს, რითაც ზოგადად ბუნებრივი აირის ბიზნესს სერიოზული საფრთხე დაემუქრება.



– ბუნებრივ აირს დაახლოებით 350-370 ათასი ავტომფლობელი მოიხმარს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ტექდათვალიერების პროცესი იმ ფორმით წავიდა, რომლითაც მიდის, ბუნებრივი აირის მოხმარება შემცირდება. რაც ბუნებრივი აირის კომპანიებზე ნეგატიურად იმოქმედებს, რადგან ამ სფეროში საკმაოდ მნიშვნელოვანი ინვესტიციებია განხორციელებული.

საუბარია დაახლოებით 400-500 ათას დოლარზე, რაც ხშირ შემთხვევაში საბანკო კრედიტებთანაა დაკავშირებული. ამასთან, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, აირბალონზე მომუშავე ავტომობილების 50% ტექნიკური ინსპექტირების მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ავტომობილების ნახევარი გაჩერდა, ზოგადად ავტოგაზის ბიზნესს სერიოზული საფრთხე დაემუქრება, – აღნიშნა მთვრალაშვილმა.

# „პოლიციამ პაატა პავლიაშვილს ხელები შეუკრა და ცხვირ-პირით დააგდო ძირს“

## „ამ საცოდავმა თქვა, დამანებეთ თავი, ცუდად ვარო და ჩაიკეცა“

**25 ოქტომბერს თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე გარდაცვლილი პაატა პავლიაშვილის სიკვდილში თვითმხილველები სამართალდამცველებს ადანაშაულებენ. მათი თქმით, დაკავების ოპერაციისას პოლიციამ ძალას გადაამეტა.**

თვითმხილველთა განცხადებით, 33 წლის პაატა პავლიაშვილმა დაკავებისას თავი შეუძლოდ იგრძნო და წაიქცა, თუმცა პოლიციელებს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ, შემთხვევა კი ფატალურად დასრულდა.

გარდაცვლილის ნათესავები აცხადებენ, რომ პავლიაშვილს ნუცუბიძის პლატოზე მომხდარ კონფლიქტთან კავშირში არ ჰქონია, ის უბრალოდ ფაქტს შეესწრო და მეგობრის დაკავებას ეწინააღმდეგებოდა.

– მეზობლები შეკამათდნენ, პაატა ფაქტს შეესწრო, რა დროსაც შეიგინა, სამართალდამცავებმა ხელები გადაუგრიხეს, ბორკილები დაადეს, ამ დროს ჩაკეცილა, – აცხადებს გარდაცვლილის დეიდა ლია მხეიძე.

თვითმხილველთა თქმით, 33 წლის ახალგაზრდის შეუძლოდ გახდომის მიუხედავად, პოლიციამ მას ხელები შეუკრა და ცხვირ-პირით დააგდო ძირს.

ტრაგიკული შემთხვევას შეესწრო ქეთევან თოდრია, რომელიც იხსენებს, რომ გარდაცვლილი ნასვამი იყო.

– პატრული ეჯაჯგურებოდა ხელზე, გადაუგრიხეს ხელები. ერთი ამ საცოდავმა თქვა, დამანებეთ თავი, ცუდად ვარო და ვინც გვერდზე ახლდა ბიჭები, ისინიც სთხოვდნენ, დაანებეთ თავი, ცუდად არის კაცი, ხომ ხედავთო. ზედმეტი მოუვიდათ, ძალას გადაამეტეს. ამ ძიძგილაობაში ბორკილების დადება უნდოდათ. ამ კაცმა ზოგადად შეიგინა, არ მიუყენებია შეურაცხყოფა არც პატრულისთვის და არც არავისთვის. ჩვენც ზემოდან ვუყვიროდით პოლიციას, დაანებეთ თავი, ხომ ხედავთ, ცუდად არის, სად მიათრევთ, სასწრაფო გამოიძახეთ, უმჯობესიაო. გული გაუსკდა ალბათ.

პატრულის ერთმა თანამშრომელმა გამოიყვანა აქეთ ეს ბიჭი, წაიყვანეთო, მაგრამ მეორემ არ დათმო, ის ადებდა ბორკილებს. სად გაქრა ეს პატრული, – იხსენებს ქეთევან თოდრია.

ნუცუბიძეზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმავე საღამოს გაავრცელა ვიდეომასალა, რომელშიც ინციდენტის მონაწილე ნოდარ შანიძე საუბრობს.

შანიძე ამბობს, რომ გარდაცვლილი ხშირად სვამდა და იღებდა ფსიქოტროპულ წამლებს, რაც შესაძლოა იმ მომენტში მისი გარდაცვალების მიზეზი გამხდარიყო.

ნოდარ შანიძის თქმით, მას და გარდაცვლილის მეგობარს შორის შელაპარაკება მოხდა, რის გამოც ადგილზე საპატრულო პოლიცია გამოიძახა. შანიძე აღნიშნავს, რომ შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა პაატა პავლიაშვილის გაღიზიანება გამოიწვიეს და ის მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა.

– პატრულ-ინსპექტორებმა მამაკაცს არაერთგზის მოუწოდეს წესრიგისა და კანონის დაცვისკენ, თუმცა იგი არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას და კიდევ უფრო აგრესიული გახდა. აღნიშნული პირი, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციული წესით დაკავების დროს უეცრად შეუძლოდ გახდა და ადგილზე გარდაიცვალა, – ამბობენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.



### რა მოხდა ნუცუბიძის პლატოზე

❖ ❖ ❖

პაატა პავლიაშვილის ცხოვრების დეტალები მისმა მეზობლებმა გაიხსენეს.

მათი თქმით, ახალგაზრდა მამაკაცი პერიოდულად სვამდა, თუმცა ალკოჰოლდამოკიდებული არ ყოფილა.

– პაატას ორი წლის წინ ძმა მოუკვდა, ცოტა ხნის წინ გარდაეცვალა ბიძაშვილი, მცირეწლოვანი ბავშვი და ამის გამო ნერვიულობის ნიადაგზე სვამდა. ის კონფლიქტური არ ყოფილა, – განაცხადა მეზობელმა ქეთინო თოდრიამ.

სხვა მეზობელი კი გარდაცვლილის ფსიქოტროპულ მედიკამენტებზე დამოკიდებულებაზე საუბრობს.

❖ ❖ ❖

გუშინ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ნუცუბიძის ქუჩაზე მოქალაქის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურიდან აცნობეს, გამოძიების ამ ეტაპზე უკვე გამოიკითხნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, თვითმხილველი მოწმეები და გარდაცვლილის ოჯახის წევრები.

„საქართველოს პროკურატურამ 2017 წლის 25 ოქტომბერს მიღებული შეტყობინების საფუძველზე დაიწყო გამოძიება ქ.თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე მოქალაქე პაატა პავლიაშვილის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის შესაძლო ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქმეზე დაგეგმილია და მიმდინარეობს ყველა აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების უზრუნველსაყოფად. კერძოდ: გარდაცვალების მიზეზის დადგენის მიზნით დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა; მიმდინარეობს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები საქმესთან კავშირში მყოფი ვიდეოჩანაწერების მოპოვების მიზნით. გამოძიების ამ ეტაპზე უკვე გამოიკითხნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, თვითმხილველი მოწმეები და გარდაცვლილის ოჯახის წევრები.

საქმეზე მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად ჩატარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება. გამოძიების შედეგების შესახებ დამატებით ეცნობება საზოგადოებას“, – აღნიშნულია პროკურატურის ინფორმაციაში.

# მარი კურტანიძე თამაზ აქუბარდიას სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს

## „იმედია, ახლა მაინც შეგეშინდებათ!“



მარი კურტანიძე თავის ყოფილ მასწავლებელსა და ლექტორს, თამაზ აქუბარდიას, სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებს. ამის შესახებ მან sapari.ge-ზე წერილი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, თამაზ აქუბარდია მას, 15 წლისას, სექსუალურად ავიწროებდა.

„ბატონო თამაზ,

მოგესალმებით, იმედია, გახსოვართ: მათემატიკაში მამზადებდით აბიტურიენტობის დროს, მაშინ 15 წლის ვიყავი. კვირაში სამჯერ დადიოდით ჩემთან სახლში და კერძო გაკვეთილებს მიტარებდით. ჩემი სახელი და გვარი თუ არაფერს გეუბნებათ, ვეცდები, სხვანაირად გაგახსენოთ: „აბრეშუმივით კანი მაქვს“. თქვენ გიჟდებოდით მასზე. ჩემი დახეული ჯინსის შარვალიც უნდა გაგახსენდეთ, მაგიდის ქვეშ ხელს რომ მისვამდით ხოლმე კანზე, საოცარი კანი გაქვსო, მეუბნებოდით. მას შემდეგ შემძულდა დახეული ჯინსი და აღარ ვიცვამ. თქვენი დაჟინებული თხოვნები არ აყოვნებდა: „რატომ არ გაცვია ჩემი საყვარელი შარვალი, გთხოვ, ჩაიცვი რა“. წავსულვარ და გამომიცვლია რამდენჯერმე, ბევრჯერ! წესით, ისიც უნდა გახსოვდეთ, როგორ მემუქრებოდით: „ამ ამოცანას სწორად თუ არ ამოხსნი, ტუჩებში გაკოცებ“. ერთხელ ამისრულეთ კიდეც დანაპირები: დამშვიდობებისას, ლოყაზე კოცნის მაგიერ ტუჩებში მაკოცეთ.

დანარჩენი თქვენ უკვე არ გემახსოვრებათ. მე მახსოვს. მახსოვს, როგორ ვტიროდი – თავს ვირწმუნებდი, რომ 50 წლის მასწავლებელი არ იყო „ჩემი პირველი კოცნა“, რომ ეს ყველაფერი „შემთხვევით მოხდა“!

სახელს ვერ ვარქმევდი ვერც ხელების ფათურს – ვიცოდი, რომ ეს არასწორი იყო, მაგრამ ვერ ვბედავდი ამაზე ვინმესთან ლაპარაკს. მეშინოდა, ჩხუბი არ ამტყდარიყო. მერჩია, ჩუმად ამეტანა. ვერც იმას ვხვდებოდი, რა უნდა მეთქვა. უფროსებთან შეპასუხებას არ ვიყავი მიჩვეული, განსაკუთრებით – მასწავლებლებთან. თქვენც დარწმუნებული იყავით, რომ არავის ვეტყოდი; ძალიან მორცხვი, დამჯერი, ჩუმი ბავშვი ამარჩიეთ მსხვერპლად. მას შემდეგ 10 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ისე მოვიქეცი, როგორც ბევრი მსხვერპლი იქცევა: გადავწყვიტე, დამევიწყებინა ან თავი მომეჩვენებინა, რომ თითქოს არ მახსოვს, რომ ცუდი არაფერი მომხდარა; იმაზე ვკონცენტრირებულიყავი, რომ კარგი ადამიანი ხართ: განათლებული, ნაკითხი, „პატრიოტი“. მერჩია, შემბრალებოდით: „რა ქნას, ახალგაზრდა გოგოები და ქალები მისი სისუსტეა“.

დღემდე მიჭირს, სწრაფი და საკადრისი პასუხი გავცე მოძალადეებს, იმ კაცებს, რომლებიც სექსუალურად მავიწროებენ, მაგრამ სხვა ქალებთან საუბარმა, ისტორიების მოსმენამ (რომლებიც ხშირად ჩემი ამბის მსგავსია), ჩემმა პროფესიამ და რეალობის – ქალის მიმართ არსებული ძალადობრივი კულტურის – გააზრებამ გამაძლიერა. მხოლოდ ახლა, 10 წლის შემდეგ, ვბედავ, რომ ამაზე ხმამაღლა ვისაუბრო და არ შემეშინდეს! არ შემრცხვეს! ამას ჩემი თავისა და ყველა იმ გოგოს/ქალის გამო ვაკეთებ, რომლებიც იძულებული არიან, ჩუმად აიტანონ სექსუალური შევიწროება და სხვადასხვა ფორმის ძალადობა.

ახლა სახელების დარქმევაც ვისწავლე: თქვენ არ ხართ კარგი ადამიანი, თქვენ ნაძირალა ხართ, ბატონო თამაზ! ვერანაირი განათლება, „პატრიოტიზმი“ და პროფესიონალიზმი ვერ გადასწონის იმ ფაქტს, რომ ბავშვებზე, 15 წლის ბავშვებზე(!) სექსუალურად ძალადობთ!

იმედი მაქვს, ამ წერილს ბევრი წაიკითხავს. გვახსოვდეს, რომ ძალიან ხშირად, მოძალადეები და შემვიწროებლები ისინი არიან, ვისგანაც ამას ყველაზე ნაკლებად მოველით; ისინი, ვისაც გავლენა და ავტორიტეტი აქვთ „მსხვერპლზე“, ხოლო მსხვერპლად ირჩევენ მათ, ვინც სუსტია და ადვილად მოწყვლადი, ვინც პასუხის გაცემას და ამაზე საუბარს ვერ შეძლებს. სწორად ამიტომ რჩება განსაკუთრებით შემზარავი ამბები უთქმელი და შეუმჩნეველი.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიჭირს და მთელ ჩემ გამბედაობას ვიკრებ ამ დამამცირებელ გამოცდილებაზე სასაუბროდ, ვფიქრობ, მხოლოდ ასე – ხმამაღლა საუბრით შევძლებთ თქვენნაირი მოძალადე კაცების მხილებას და რეალობის შეცვლას!

გემშვიდობებით და, იმედია, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მაინც, ყოველ ჯერზე, როცა ხელს გააპარებთ, ყოველ ჯერზე, როცა სექსუალური შინაარსის კომენტარს იტყვით, ყოველ ჯერზე, როცა გაბედავთ და ფსიქოლოგიურად იძალადებთ გოგოზე/ქალზე – შეგეშინდებათ!

მარი კურტანიძე“

**იმედინიუსი**

# პოლიციელის ტყვიამ სოფელ მუჟავასთან 19 წლის პოლიციელი იმსხვერპლა




გუშინ, 26 ოქტომბერს, აფხაზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციულ საზღვართან, წალენჯიხის რაიონის სოფელ მუჟავასთან უბედური შემთხვევა მოხდა.

„ნიუპოსტის“ რეგიონული კორესპონდენტის ცნობით, ოკუპაციის ხაზთან, სავარაუდოდ, ერთ-ერთ პოლიციელს ცეცხლსასროლი იარაღი გაუვარდა, რომელიც მასთან ახლოს მყოფ 19 წლამდე მამაკაცს მოხვდა. პოლიციელი ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა, მედიკოსების თქმით, პაციენტს სასიცოცხლო ნიშნები უკვე აღარ ეტყობოდა.

ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალის სასწრაფო დახმარების განყოფილების მენეჯერის, მაია ესებუას თქმით, ახალგაზრდას ჭრილობა სახის არეში, ნიკაპზე აღენიშნებოდა.

ოკუპაციის ხაზთან არსებულ საგუშაგოზე სამართალდამცავები უსაფრთხოებას იცავენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთი პირის დაღუპვის ფაქტს ადასტურებს თუმცა დეტალებზე არ საუბრობს. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 116-ე მუხლით დაიწყო, რაც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობას გულისხმობს.

# ვაშლიჯვარში 2 ტრაილერი დაიწვა

## დაშავდა 2 ადამიანი

გუშინ ვაშლიჯვარში, გოძიაშვილის ქუჩაზე, ავტოპროფილაქტიკაში გაჩენილი ხანძრის შედეგად 2 ტრაილერი დაიწვა.

ადგილზე შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მეხანძრე-მაშველთა 7 ჯგუფი მუშაობდა, რომელთა შორის დაახლოებით 35 მეხანძრე-მაშველი იყო.

როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში აცხადებენ, ხანძარი გავრცელდა 300-400 კვადრატულ მეტრ ფართობზე, მათივე ინფორმაციით, მომხდარის შედეგად 2 პირი დაშავდა, რომლებიც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრში განუცხადეს, მამაკაცებს დამწვრობები სხეულის სხვადასხვა ადგილზე აღენიშნებათ. გარდა ამისა, მათ ჩასუნთქული აქვთ კვამლი.

– 2 დაშავებული მამაკაცი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დამწვრობის ცენტრში გადაიყვანა. მათ დამწვრობა სხეულის სხვადასხვა ნაწილზე აღენიშნებათ, თუმცა მათი მდგომარეობა მძიმე არ არის. ასევე, მათ ნასუნთქი აქვთ კვამლი, – აღნიშნეს სასწრაფო-სამედიცინო ცენტრის პრესსამსახურში.



# გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, საცხოვრებელ კორპუსში, აფეთქება მოხდა

თბილისში, გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, საცხოვრებელ კორპუსში აფეთქება მოხდა. მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, აფეთქება ერთ-ერთ სათავსში მოხდა. მათივე თქმით, მიზეზი გაზის გაჟონვა გახდა და მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა.

# კიევში დეპუტატი მოსიიჩუკი ააფეთქეს



უკრაინის დედაქალაქში განხორციელდა თავდასხმა დეპუტატ იგორ მოსიიჩუკზე (რადიკალური პარტია). ეს მაშინ მოხდა, როცა დეპუტატი ტელეკომპანია „ექსპრესოსაკენ“ მიემართებოდა. მოსიიჩუკი მანქანიდან გადმოვიდა თუ არა, მახლობლად მდგომი მოპედი აფეთქდა. ის დანაღმული იყო.

– მოსიიჩუკი მძიმედ დაშავდა, თუმცა იცოცხლებს, – განაცხადა რადიკალური პარტიის ლიდერმა ოლეგ ლიაშკომ.

აფეთქების შედეგად დაიღუპა მოსიიჩუკის მცველი, დაიჭრა მასთან ერთად მყოფი პოლიტოლოგი ვიტალი ბალა, დაიღუპა შემთხვევითი გამვლელი, რომელიც მახლობელ სახლში ცხოვრობდა.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, მოსიიჩუკს ოპერაცია გაუკეთეს. ამჟამად მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. გონს მოსულმა მოსიიჩუკმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

– ჩემზე თავდასხმა მოსკოვმა შეუკვეთა, შემსრულებლები კი უკრაინელები იყვნენ.

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველმა ზორიან შკირიაკმა მომხდარს ტერაქტის კვალიფიკაცია მისცა. მისი აზრით, მოსიიჩუკის ლიკვიდაციით რუსეთის სპეც-სამსახურები იყვნენ დაინტერესებულნი.

– მოსიიჩუკი დონბასში უკრაინის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას იცავდა! მისი ლიკვიდაცია რუსეთის სპეცსამსახურებს სურდათ, – ამბობს შკირიაკი.

ამ განცხადებამ რუსეთის რისხვა გამოიწვია.

– უკრაინელები მუდამ ხელს ჩვენკენ იშვერენ! – თქვა სენატორმა ალექსეი პუშკოვმა.

რუსი სენატორი შეეცადა, მოვლენებისათვის მოსკოვისათვის მისაღები ინტერპრეტაცია მიეცა. მან განაცხადა, რომ მომხდარი უკრაინის შიგნით მიმდინარე პროცესების შედეგია.

– ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ უკრაინა არშემდგარი სახელმწიფოა! დასავლეთიც უნდა დაფიქრდეს, ღირს თუ არა უკრაინის გამო რუსეთისთვის სანქციების დაწესება! – ამბობს პუშკოვი.



# ტრამპი: „რუსეთი ჩრდილოეთ კორეაში ხელს გვიშლის!“

აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ ჩინეთი ვაშინგტონს ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებაში ეხმარება, რუსეთი კი პრობლემებს უქმნის.

– რუსეთი ჩრდილოეთ კორეაში ხელს გვიშლის! – განაცხადა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტი კვლავ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ალაპარაკდა.

– რუსეთთან რომ კარგი ურთიერთობა გვქონოდა, ჩრდილოეთ კორეის პრობლემა უფრო სწრაფად მოგვარდებოდა! – თქვა ტრამპმა.

# მატისმა ფილიპინების არმიას მაღალი შეფასება მისცა

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მატისმა მაღალი შეფასება მისცა ფილიპინების არმიის მიერ ქალაქ მურავში ჩატარებულ ოპერაციას. როგორც ცნობილია, ფილიპინელმა სამხედროებმა ამ ქალაქიდან ისლამისტი-ექსტრემისტები განდევნეს.

– ფილიპინების არმიამ ბრწყინვალე ოპერაცია ჩაატარა. შედეგიც მიღწეულია. ვერცერთი მოკირკიტე ადამიანის უფლებების თუნდაც მცირე დარღვევას ვერ იპოვის, – ამბობს მატისი.



# „რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება ამჟამად შეუძლებელია“

## შტაინმაიერი პუტინს შეხვდა



გერმანიის პრეზიდენტი შტაინმაიერი მოსკოვში ჩავიდა. ის ვლადიმერ პუტინს შეხვდა.

შტაინმაიერმა გერმანია-რუსეთის ამჟამინდელი ურთიერთობის გამო უკმაყოფილება გამოთქვა.

– ურთიერთობის გაუმჯობესება აუცილებელია, თუმცა ეს ავტომატურად ვერ მოხდება. მანამ, სანამ რუსეთი დონბასში საომარ მოქმედებებს არ შეწყვეტს, ყირიმს კი უკრაინას არ დაუბრუნებს, ჩვენი ურთიერთობა ვერ გაუმჯობესდება! – თქვა შტაინმაიერმა.

პუტინმა პასუხად შენიშნა, რომ რუსეთი გერმანიასთან ურთიერთობის გაუმჯობესებით დაინტერესებულია. რაც შეეხება უკრაინის ერთიანობას, პუტინმა აღნიშნა, რომ მოსკოვი ამასაც ეთანხმება. რუსეთის პრეზიდენტი შეეცადა, გართულებული მდგომარეობის გამო მთელი პასუხისმგებლობა კიევისათვის დაეკისრებინა.

– კიევში არ ესმით, რომ უნიტარული უკრაინის არსებობა შეუძლებელია! დონბასი იმ ფასეულობებს არასოდეს მიიღებს, რომლებსაც კიევი აღიარებს! მოდით, ჩვენი უკრაინელი პარტნიორები ერთად დავარწმუნოთ, რომ უკრაინის ფედერალიზაცია აუცილებელია! – მიუგო პუტინმა.

მოგვიანებით ჟურნალისტებთან საუბარში შტაინმაიერმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება შეუძლებელია.

– რუსეთი საამისოდ მზად არ არის, – ამბობს შტაინმაიერი.

# რუსებმა ყირიმელ თათართა ორი აქტივისტი გაათავისუფლეს

რუსებმა ყირიმელ თათართა ორი აქტივისტი, უმაროვი და ჩიიგოზოვი, გაათავისუფლეს. უკრაინის პრეზიდენტი პოროშენკო ამას მიესალმა.

– მე და თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი შევთანხმდით, რომ დაკავებული აქტივისტების გამოხსნისთვის კოორდინირებულად ვიმოქმედებდით. ერდოღანმა ამ ხალხის რუსული ტყვეობიდან დასახსნელად მართლაც ბევრი გააკეთა, – ამბობს პოროშენკო. რუსი დეპუტატები ამას არ ეთანხმებიან. ისინი აცხადებენ, რომ დაკავებული აქტივისტები ყირიმის მუფტის თხოვნის შედეგად გამოუშვეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**



**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# დინამოს მარცხიანი ევროპა



### დინამო-ჯლუჟ ნაპოკა 73:87
(11:32, 15:23, 25:20, 22:12)

ფიბა ევროპის თასზე მეორე მატჩი გამართა თბილისის დინამომ და კვლავ დამარცხდა. თუკი პირველ ტურში, ბულგარეთში, ლუკოილ აკადემიკთან ქართველებს მოგების შანსი ჰქონდათ, თბილისში რუმინულ კლუჟ-ნაკოპასთან უშანსოდ წააგეს.

პირველივე წუთებიდანვე ნათელი გახდა, რომ რუმინელები ამ მატჩს იოლად მოიგებდნენ. კარგად დაკომპლექტებული ვლახები დაცვაშიც კარგად ირჯებოდნენ, შეტევაშიც და ნელნელა ზრდიდნენ უპირატესობას. პირველი პერიოდი დინამომ 11:32 წააგო და მისი მიმდინარეობიდან გამომდინარე ნათელი გახდა, რომ თამაშის შემობრუნება შემომტრიალებელი ვეღარ იქნებოდა.

მეორე მეოთხედის დასაწყისიდან ირაკლი ხოშტარიას გუნდმა სხვაობა ოდნავ შეამცირა, მაგრამ რუმინელებმა თავის თამაშს მალევე მიაგნეს და საქულე უპირატესობა კვლავ გაიზარდეს. პირველი ტაიმი 29 ქულით – 26:55 დავთმეთ.

რუმინელებმა იგრძნეს, რომ მატჩი მოგებული იყო, ამიტომაც შესვენების შემდეგ შეხვედრას სავარჯიშო ხასიათი მიეცა. ამით დინამომაც ისარგებლა და ჯერ მესამე მეოთხედი მოიგო – 25:20, ხოლო შემდეგ ბოლო 10-წუთეული კიდევ უფრო დიდი სხვაობით – 22:12.

საბოლოოდ, რუმინელები იოლ გამარჯვებამდე მივიდნენ და ჯგუფში გალიდერდნენ. 4-გუნდიანი ჯგუფის მეორე მატჩში ისთანბულმა ლუკოილ აკადემიკი 81:69 დაამარცხა.

# სუპერლიგის მატჩები საინტერესოდ ტარდება

### მგზავრები-ოლიმპი 73:89
(17:22, 22:15, 10:27, 24:25)

პირველი პერიოდი ოლიმპის უპირატესობით დაიწყო და 10-წუთეულის მიწურულს 5 ქულით დაწინაურდა 22:17, მაგრამ მგზავრებმა მეორე პერიოდის მიწურულს 2 ქულამდე დაიყვანეს ანგარიშის სხვაობა და ტაიმის მიწურულს დიდ შესვენებაზე ტაბლოზე 39:37 დაფიქსირდა.

ოლიმპელებმა მეტოქე შეხვედრის მე-3 პერიოდში გატეხეს და გამარჯვება მოიპოვეს – 10-წუთეულის 27:10 მოგების შემდეგ ფაქტიურად შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. ბოლო მეოთხედში ბევრი არაფერი შეცვლილა და გამარჯვება ოლიმპს დარჩა – 89:73.

გამარჯვებულებს 21 ქულითა და 6 მოხსნით მიხეილ ჭოჭუამ ულიდერა, 16 ქულა დაგროვდა ახალგაზრდა მოთამაშის, ნიკა დარბაიძის ანგარიშზე, ხოლო გივი ბაქრაძემ გუნდს 13 ქულა და 7 პასი მოუტანა. დამარცხებულთაგან საუკეთესონი იყვნენ დერონ პაუერსი 21 ქულით, სანდრო სანაძე 13 ქულით და კახაბერ ჯინჭარაძე 11 ქულით.



### სოხუმი-დელტა 75:73
(19:18, 21:15, 15:12, 20:18)

სოხუმელებმა საწყისი ტურის მატჩები დაძაბულ ბრძოლაში კაკტუსთან და მგზავრებთან წააგეს, ხოლო ქვემოქართლელებმა თავისი შეხვედრები დინამოსთან და რუსთავთან დათმეს.

აქედან გამომდინარე, ორივე გუნდი პირველი გამარჯვებისთვის ემზადებოდა და მის მისაღწევად ბოლომდეც იბრძოლა. შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა და მისი ბედი ბოლო წამზე გადაწყდა.

პირველი პერიოდი სოხუმელებმა 1 ქულით – 19:18 მოიგეს. მეორე ათწუთულში მარნეულელებმა თამაში გამოასწორეს და პერიოდის 25:21 მოგებით დიდი შესვენებისთვის 3 ქულით დაწინაურდნენ.

მესამე მეოთხედში უკვე სოხუმელებმა იძალეს და ბოლო 10-წუთეულის დაწყების წინ ანგარიში გათანაბრდა – 55:55. გადამწყვეტი მეოთხედი მთლიანად ქულა-ქულაში წარიმართა. ანგარიში ხან გათანაბრდებოდა, ხან ერთი გუნდი დაწინაურდებოდა, ხანაც – მეორე.

ბოლო წუთზე მოვლენები საინტერესოდ წარიმართა. სოხუმელები 73:71 დაწინაურდნენ და მარნეულელი ზვიად ანთაძის აცილებულის შემდეგ 2 საჯარიმოს შესრულების უფლებაც მოიპოვეს. ამერიკელმა კვან უოლერმა საფინალო სირენამდე 14 წამით ადრე ორივე საჯარიმო ააცილა. ბურთი დელტას ამერიკელმა ლეგიონერმა, ნიკოლას ნილმა მოხსნა, მთელი მოედანი გადალახა და ის სოხუმელებმა ჯარიმით შეაჩერეს.

ნილმა ორივე საჯარიმო ჩააგდო და ანგარიში გაათანაბრა. სოხუმელებს შესატევად 7.7 წამი დარჩათ. წუთშესვენებაზე დაგეგმილი შეტევა საფინალო სირენამდე 0.5 წამით ადრე უოლერმა შედეგიანი გარღვევით დააგვირგვინა და შეხვედრაც სოხუმელთა გამარჯვებით – 75:73 დასრულდა.

სოხუმს 17-17 ქულით მაქსიმ ლუცენკომ და ანატოლი ჩელოვანმა ულიდერეს. ამ უკანასკნელმა 10 მოხსნაც მიითვალა და შეხვედრა ორმაგი დუბლით დაასრულა. ორმაგი შეასრულა უოლერმაც, რომელმაც შეხვედრა 12-12 ქულა-მოხსნით დაასრულა. დელტაში 15 ქულით ბომბარდირი გახდა დეანდრე რეი. ნილმა 14 ქულა მიითვალა.

### კაკტუსი-ბათუმი 48:89
(14:30, 8:18, 8:23:18:18)

ბათუმელები პირველ ტურში ისვენებდნენ, ხოლო მეორეში, ქუთაისში მარცხი განიცადეს. არადა, აჭარულმა გუნდმა სოლიდური ლეგიონერები შეიმატა და მწვრთნელად სერბი სპეციალისტიც ჩამოიყვანა. ამბიციაც შესაბამისი აქვს და ქუთაისში მარცხის შემდეგ მოსაგებად იყვნენ მომართულები.

კაკტუსს კი 2-დან 2 მოგება ჰქონდა – არჩილ ჟღენტის გუნდმა სოხუმი და ოლიმპი ბრძოლაში დაამარცხა, თუმცა ბათუმთან უშანსოდ იყო. სადებიუტო წუთები შედარებით თანაბარი გამოდგა, თუმცა ბათუმი მალევე დაეპატრონა სრულ უპირატესობას და საწყისი მეოთხედი 30:14 მოიგო.

ანგარიში ბათუმელთა სასარგებლოდ იზრდებოდა და ბოლო პერიოდის წინ სტუმრებმა 41-ქულიან ლიდერობას მიაღწიეს. აჭარელებს უკრაინელი ლეგიონერები – ლეონიდ სტეპანიშინი (23 ქულა) და ილია შემოსიუკი (22 ქულა) ლიდერობდნენ, თუმცა სტუმრები მთლიანობაში ძალიან გამართულად და გუნდურად თამაშობდნენ. ამერიკელმა უკანახაზელმა სპენსერ კოლისმა 17 ქულა, 4 ჩაჭრა და 4 პასი მიითვალა, ხოლო მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი სერბმა ცენტრმა სტეფან ანდრეშევიჩმა მიითვალა – 12 ქულა, 10 მოხსნა.

კაკტუსში 11 ქულით კრისტიან ჯონსონი გამოირჩა. 10 ქულა დავით ლომიძის ანგარიშზე დაგროვდა.

# რაიან გიგზი: „ევერტონსაც გავწვრთნიდი და ლესტერსაც“



მანჩესტერ იუნაიტედის ყოფილი ფეხბურთელი და ლეგენდა რაიან გიგზი ამბიციური განცხადებით გამოვიდა. გიგზის აზრით, ის მზად არის, პრემიერლიგის გუნდები გაწვრთნას. კერძოდ, საუბარია 2 გუნდზე, რომელიც ამჟამად უმწვრთნელოდ არის დარჩენილი. ესენია: ევერტონი, რომელსაც რონალდ კუმანი წვრთნიდა და ლესტერი, საიდანაც რამდენიმე დღის წინ კრეიგ შექსპირი დაითხოვეს.

**რაიან გიგზი:**

– ეს არის 2 შესანიშნავი კლუბი, ევერტონი მშვენიერი საფეხბურთო ისტორიით, ხოლო ლესტერი, რომელმაც ყველას გაოცება შეძლო და პრემიერლიგის მოგება მოახერხა. რატომ არ უნდა მინდოდეს ამ შესანიშნავი კლუბების გაწვრთნა, თუ ამის შესაძლებლობა მომეცემა, თუმცა ბევრი შესანიშნავი მწვრთნელიც დაინტერესებულია, რომ ეს კლუბები ჩაიბარონ.

მართალი გითხრათ, გაკვირვებული ვარ იმით, რომ ლესტერისა და ევერტონის სამწვრთნელო ვაკანსიები თავისუფალია, თუმცა ეს მოსალოდნელი იყო, რადგანაც ევერტონმა გასულ სატრანსფერო ბაზარზე იაქტიურა, შესაბამისად მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. რაც შეეხება ლესტერს, მას პრემიერლიგის მოგების შემდეგ ამბიციები შესამჩნევად გაეზარდა – ლესტერს ტიტულებისთვის ბრძოლა სურს.

# შედეგები

**25 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ლიგის თასი**

ჩელსი-ევერტონი ............................ 2:1
ტოტენჰემი-ვესტ ჰემი ..................... 2:3

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ფორმენტერა-ბილბაო .................... 1:1
ვალიადოლიდი-ლეგანესი .............. 1:2
პონფერადინა-ვილიარეალი .......... 1:0
ეიბარი-სელტა ................................ 1:2
ელჩე-ატლეტიკო ............................ 1:1

**გერმანია. თასი**

ვოლფსბურგი-ჰანოვერი ................ 1:0
ჰერტა-კიოლნი ................................ 1:3
კაიზერი-შტუტგარტი ..................... 1:3
ოსნაბრიუკი-ნიურნბერგი .............. 2:3
ვერდერი-ჰოფენჰაიმი ................... 1:0
ლაიფციგი-ბაიერნი ............. 1:1(4:5პ)
ფრაიბურგი-დინამო ....................... 3:1
რეგენსბურგი-ჰაიდენჰაიმი ............ 2:5

**იტალია. სერია ა**

ატალანტა-ვერონა ......................... 3:0
კალიარი-ბენევენტო ...................... 2:1
კიევო-მილანი ................................ 1:4
ფიორენტინა-ტორინო .................... 3:0
ჯენოა-ნაპოლი ............................... 2:3
იუვენტუსი-სპალი .......................... 4:1
რომა-კროტონე .............................. 1:0
სასუოლო-უდინეზე ........................ 0:1
ბოლონია-ლაციო ........................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 10 | 9 | 1 | 0 | 29-7 | 28 |
| 2.ინტერი | 10 | 8 | 2 | 0 | 20-7 | 26 |
| 3.იუვენტუსი | 10 | 8 | 1 | 1 | 31-10 | 25 |
| 4.ლაციო | 10 | 8 | 1 | 1 | 26-11 | 25 |
| 5.რომა | 9 | 7 | 0 | 2 | 16-5 | 21 |
| 6.სამპდორია | 9 | 5 | 2 | 2 | 18-12 | 17 |
| 7.ფიორენტინა | 10 | 5 | 1 | 4 | 18-11 | 16 |
| 8.მილანი | 10 | 5 | 1 | 4 | 16-14 | 16 |
| 9.ატალანტა | 10 | 4 | 3 | 3 | 17-13 | 15 |
| 10.კიევო | 10 | 4 | 3 | 3 | 13-15 | 15 |
| 11.ბოლონია | 10 | 4 | 2 | 4 | 9-11 | 14 |
| 12.ტორინო | 10 | 3 | 4 | 3 | 14-17 | 13 |
| 13.უდინეზე | 10 | 3 | 0 | 7 | 16-21 | 9 |
| 14.კალიარი | 10 | 3 | 0 | 7 | 8-18 | 9 |
| 15.სასუოლო | 10 | 2 | 2 | 6 | 5-16 | 8 |
| 16.ჯენოა | 10 | 1 | 3 | 6 | 10-16 | 6 |
| 17.კროტონე | 10 | 1 | 3 | 6 | 6-20 | 6 |
| 18.ვერონა | 10 | 1 | 3 | 6 | 6-22 | 6 |
| 19.სპალი | 10 | 1 | 2 | 7 | 8-19 | 5 |
| 20.ბენევენტო | 10 | 0 | 0 | 10 | 3-24 | 0 |

**საფრანგეთი. ლიგის თასი**

ლილი-ვალანსიენი 2:2 ................(5:4პ)
ანჟე-ნანსი ........................................ 3:2
დიჟონი-რენი ..................................... 1:2
მეცი-რედ სტარი ................................ 1:0
სტრასბური-სტ.ეტიენი .......... 1:1(5:4)
ტრუა-ამიენი ...................................... 1:2
ტულუზა-კლერმონი ........................ 4:2
ტური-ნანტი ....................................... 3:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-სელტიკი ........................ 0:3
რეინჯერსი-კილმანროკი ............... 1:1
დანდი-მოზერველი ........................ 0:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ანდერლეხტი-ვარეგემი .................. 2:0
ბევერენი-კორტრაიკი ..................... 2:1
გენკი-ბრიუგე .................................. 2:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# შენგელიასა და დიქსონს ევროტურნირებზე ვერ აჩერებენ



მიმდინარე სეზონში გოლდენ სტეიტი ისე თამამად ვეღარ გამოიყურება. საწყის 4 ტურში 2 მატჩი წააგეს და გუშინაც საკმაოდ მძიმე ბრძოლა გადაიტანეს ტორონტო რეპტორზთან. ოკლენდელები შინ დაუხვდნენ კანადელებს და გამარჯვება მეტოქეს მატჩის ბოლოს გამოგლიჯეს – 117:112.

ზაზა ფაჩულია ჩვეულებრივ სასტარტო შემადგენლობაში იყო და პარკეტზე 14:26 წუთი გაატარა. ქართველი ცენტრი შედეგიანი ნამდვილად ვერ იყო: ზაზამ 3 ორქულიანიდან ერთი, 2 ჯარიმიდან ერთი ჩააგდო და 3 ქულას 4 მოხსნა, 2 შედეგიანი პასიც მიამატა.

გოლდენ სტეიტს 5 შეხვედრიდან 3 მოგება აქვს და კონფედერაციაში მე-6 ადგილზეა. მომდევნო მატჩში „მეომრები“ შინ ვაშინგტონ ვიზარდსთან 28 ოქტომბერს, დილით გამართავენ.

ჩინებულ ფორმაშია თორნიკე შენგელია და მისი გაჩერება არამარტო ესპანეთის ჩემპიონატში, არამედ ევროლიგაზეც უჭირთ. საქართველოს ეროვნული ნაკრების ლიდერი თავის კლუბ ბასკონიაშიც ლიდერობს. თორნიკემ ევროლიგაში მორიგი ზეშედეგიანი მატჩი ჩაატარა, თუმცა მას თანაგუნდელებმა სათანადოდ მხარი ვერ აუბეს და ევროლიგის ესპანურ დერბიში ბასკონია ვალენსიასთან დამარცხდა – 63:80.

ბასკური გუნდის ქართველმა კაპიტანმა მოედანზე 31:48 წუთი გაატარა და სარგებლიანობის კოეფიციენტის (26) მიხედვით, ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო იყო. თორნიკემ 11-დან 8 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 7-დან 3 საჯარიმო ჩააგდო და 22 ქულას 11 მოხსნა (4 შეტევაში), 2 ჩაჭრა და 1 დაფარება წაამატა.

ბასკონიამ კი ევროლიგის სტარტზე სამივე შეხვედრა წააგო, რასაც ლოგიკური შედეგი მოჰყვა. მორიგი წარუმატებლობის მერე, არგენტინელმა მთავარმა მწვრთნელმა პაბლო პრიჯიონიმ გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა.

ევროლიგაში დასანანი მარცხი განიცადა გიორგი შერმადინის უნიკახამ. მალაგელებმა გერმანულ ბამბერგს უმასპინძლეს და დაძაბულ ბრძოლაში ბოლო წუთზე 76:80 წააგეს.

საქართველოს ნაკრების ცენტრი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 17:54 წუთში 10 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მოაგროვა. გიორგიმ 6-დან 3 ორქულიანი და 7-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

სარგებლიანობის კოეფიციენტის (12) მხრივ, ქართველი კალათბურთელი მალაგელთა რიგებში მხოლო სერბ ნემანია ნედოვიჩს (25) ჩამორჩა, რომელმაც 26 ქულა მიითვალა. ბამბერგის მხრიდან ყველაზე შედეგიანი (18 ქულა) საქართველოს ეროვნული გუნდის ყოფილი ნატურალიზებული უკანახაზელი რიკი ჰიკმანი იყო.

უნიკახას ევროლიგაში 3 ტურის შემდეგ მოგება აქვს და ცხრილში მე-11 ადგილზე იმყოფება. შენგელიას ბასკონია და კი 3 წაგებით ბოლო ადგილზეა.

ქართველი კალათბურთელების გუნდები მორიგ ტურში მეტოქეებს გაცვლიან: ბასკონია ბამბერგს ესტუმრება, ხოლო უნიკახა ვალენსიას ელის.

ასევე ჩინებულ ფორმაში იმყოფება მაიკლ დიქსონი, რომლის სტრასბურმა ფიბას ჩემპიონთა ლიგაში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმა და ამაში საქართველოს ეროვნული ნაკრების ამერიკელი უკანახაზელის წვლილი უდიდესია. ფრანგულმა კლუბმა ესპანურ ესტუდიანტესს უმასპინძლა და 3 ქულით – 77:74 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრების ამერიკელი უკანახაზელი სასტარტო ხუთეულში იყო და ორივე გუნდის რიგებში ყველაზე მეტხანს (30:13) ითამაშა. აღნიშნულ დროში მაიკლმა 6-დან 4 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო და 13 ქულას, 10 პასი და 5 მოხსნა წაამატა. მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი 21-ს გაუტოლდა, რაც შეხვედრის საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ.

სტრასბური ჩემპიონთა ლიგის ც ჯგუფში მესამე ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს კი იტალიაში ასევე 2 გამარჯვების მქონე ვენეციასთან გამართავს.

# აფხაზეთის ვიზები წელს საფრანგეთისა და გერმანიის მოქალაქეებმაც მიიღეს

## სოხუმში ტურიზმის გადარჩენაზე რუსებთან ერთად მსჯელობენ

მარიამ მჭედლიშვილი

**დღეს, 27 ოქტომბერს, სოხუმში იხსნება აფხაზურ-რუსული საქმიანი ფორუმი. იგი რიგით მერვეა. ფორუმის მთავარი ორგანიზატორები არიან რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და ოკუპირებული რესპუბლიკის ეკონომიკის უწყება. ფორუმის ერთ-ერთი მთავარი განსახილველი თემა ტურიზმისა და მეწარმეობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებაა.**

„ახალი თაობა“ წერდა, რომ წელს ტურისტული სეზონი ოკუპირებულ აფხაზეთში, ფაქტობრივად, ჩავარდა. რუსეთის ოფიციალურმა უწყებამ, როსტურიზმმა, ივლისის დასაწყისში საკუთარი მოქალაქეები აფხაზეთში არსებული რისკების შესახებ გააფრთხილა.

მაშინ ახალი მომხდარი იყო რუსი ტურისტის გახმაურებული მკვლელობა. იგი ძარცვის მსხვერპლი გახდა. რუსეთიდან ჩამოსული დამსვენებლების ნაწილისთვის საბედისწერო გახდა ავიაგასეირნებები და სამხედრო საწყობის აფეთქება.

ფორუმამდე აფხაზეთში წლევანდელი ტურისტული სეზონი შეაჯამეს. საოკუპაციო რეჟიმის ტურიზმისა და კურორტების სამინისტრომ და ამ სფეროში ჩართულმა ბიზნესმენებმა აღნიშნეს, რომ წელს, შარშანდელთან შედარებით, ტურისტების რიცხვი 2%-ით შემცირდა. ბევრ სახელმწიფოსთან ოკუპირებულ აფხაზეთს სავიზო რეჟიმი აქვს გამოცხადებული. წელს ზაფხულში აფხაზეთის ვიზები გაიცა






გერმანიის, საფრანგეთისა და ლიხტენშტეინის მოქალაქეებზე.

ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ტურისტებთან დაკავშირებულ ხმაურიან ინციდენტებსა და იარაღით სავსე საწყობის აფეთქებას დამსვენებლების ნაკადზე გავლენა არ მოუხდენია. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ტურისტული დარგის კრიზისი იმ სისტემური კრიზისის შედეგია, რომელიც აფხაზეთის ეკონომიკასა და მართვის სფეროში შეიქმნა. ამ სფეროზე გავლენას ახდენს დამნაშავეობის კატასტროფული ზრდა.

ამ მიმართულებით მდგომარეობის გამოსწორებას საოკუპაციო რეჟიმი სამიოდე დღის წინ ახალი შინაგან საქმეთა მინისტრის მოყვანით შეეცადა.

ახალი მინისტრი, ჰარი არშბა, 2013 წლიდან აქამდე რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. იგი აღიარებს, რომ სოხუმში დაბრუნება არ ხიბლავდა, მაგრამ მას აღელვებს აფხაზეთში კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესება, ამიტომ შემოთავაზებას დათანხმდა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ეს მეხუთე შინაგან საქმეთა მინისტრია აფხაზეთში. არშბაც, სხვების მსგავსად, წესრიგის დამყარების პირობას დებს.

ჟურნალისტი ინალ ხაშიგი დარწმუნებულია, რომ ახალი მინისტრი ვერაფრის გაკეთებას ვერ შეძლებს, ვინაიდან მართლწესრიგის დამყარების მიზნით მკვეთრ მოძრაობებს „ზემოდან“ არ დაუშვებენ. პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას შიში აქვს, რომ ამან შეიძლება დარტყმა მიაყენოს მყიფე პოლიტიკურ სტაბილურობას. ხაჯიმბას უნდა, რომ არსებული მდგომარეობა როგორმე მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებამდე, ანუ 2019 წლის ზაფხულამდე შეინარჩუნოს.

– არის იმის საფრთხე, რომ თავგასულ კრიმინალთან ამგვარი ლაკირებული ბრძოლა არჩევნებამდე კი არა, ქაოსამდე მიგვიყვანს, – ასკვნის ინალ ხაშიგი.

მისი შეფასებით, ხელისუფლებამ რომც დაიწყოს რეფორმები სამართალდამცავ სფეროში, ეს უშედეგო იქნება, თუ გარდაქმნები სხვა სფეროებსაც არ შეეხო. წესრიგის დამყარებას აფერხებს თავად ხელისუფლება. არცერთი სხვა პრეზიდენტის მმართველობისას აფხაზეთში არ მომხდარა ამ რაოდენობის დანაშაულები, რომლებშიც ფიგურანტები ყოფილიყვნენ მაღალჩინოსნების შვილები ან ახლობლები. ეს ხდება ხაჯიმბას დროს.

შინაგან საქმეთა ყოველი ახალი მინისტრი საქმიანობას იწყებდა რეფორმების დაპირებებით. დღეს, ჟურნალისტის თქმით, სიტყვა „რეფორმა“ ოფიციალური ლექსიკონიდან უკვე ამოღებულია.

დიდ გარღვევას არ მოელიან ტურიზმის სფეროს სპეციალისტებიც. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ტურისტის მკვლელობა უარყოფითად მოქმედებს აფხაზეთის იმიჯზე და არა – ტურისტულ ნაკადზე. ტურიზმზე აისახება კონკურენცია და ამინდი. მათი თქმით, აფხაზეთში სრულყოფილი ტურისტული სეზონი სამი თვე გრძელდება, თურქეთსა და ეგვიპტეში კი – 9 თვე. ამ ქვეყნებში რუსეთიდან ისევ საკმაო რაოდენობით ჩადის დამსვენებელი. აფხაზეთი მათ კონკურენციას ვერ უწევს.

სპორტი

# ბათუმის დინამოს ასლან ბალაძე გაწვრთნის



ბათუმის დინამომ კონსტანტინ ფროლოვი გაათავისუფლა. უკრაინელი სპეციალისტი დინამოში 2017 წლის მაისიდან მუშაობდა. მის ნაცვლად სეზონის ბოლომდე მთავარი მწვრთნელის პოსტს ბათუმის დინამოს ვეტერანი ასლან ბალაძე ჩაიბარებს. მას ასევე წარსულში ცნობილი ფეხბურთელი იური მამინაშვილი დაეხმარება.

**ასლან ბალაძე:**

– ძალიან კარგად ვიცი, გუნდი რა მძიმე სატურნირო მდგომარეობაშია. ასეთ დროს მთავარ მწვრთნელად მისვლა უდიდეს სირთულეებს უკავშირდება, მაგრამ ბათუმის დინამო ჩემთვის ოჯახია, რომელზეც უარს ვერასოდეს ვიტყვი. ახლა აწონდაწონის დრო არ არის. ვისაც შეგვიძლია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ დინამომ ეროვნულ ლიგაში ადგილი შეინარჩუნოს.

# ბულგარელები ახალ საფეხბურთო პროექტს გვთავაზობენ

ბულგარულ ორგანიზაცია „მეგა ლიგა ფონდს“ ახალი საფეხბურთო ტურნირის ჩამოყალიბება უნდა, რომელშიც მონაწილეობას ბულგარეთის, რუმინეთის, სერბეთის, ხორვატიის, საბერძნეთის, მაკედონიის, ჩერნოგორიის, ბოსნიის, სლოვენიის, ისრაელის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს კლუბები მიიღებენ.

კლუბების რეიტინგების მიხედვით 2 ლიგა შედგება: პირველ ლიგაში 20 კლუბი იასპარეზებს, მეორე ლიგაში – 22. სეზონის შემდეგ ბოლო 3 გუნდი ქვედა ლიგაში გადაინაცვლებენ, მათ ნაცვლად კი მეორე ლიგიდან 3 საუკეთესო დაწინაურდება.

მეორე ლიგიდან გავარდება 5 გუნდი, ხოლო ამ 5 გუნდის ადგილს შეავსებს საკვალიფიკაციო ტურნირიდან აღზევებული გუნდები.

ჯერჯერობით ოფიციალური განცხადება არ ყოფილა და ეს ყველაფერი ინტერნეტ სივრცეში მხოლოდ ვირტუალური ცხრილის საშუალებით გამოჩნდა. ამ ცხრილის მიხედვით ისე ჩანს, რომ ჩვენი ქვეყნიდან წარმომადგენელი მხოლოდ 1 გუნდი იქნება და ეს თბილისის დინამოა.

ტურნირის სადებიუტო სეზონი 2019-2020 წლისთვის უნდა გაიმართოს. ჯერჯერობით უცნობია აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით ფიფასა და უეფას პოზიცია, ასევე ზემოთხსენებული ქვეყნების, საფეხბურთო ფედერაციებისა და კლუბების მოსაზრებები.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ასტროპროგნოზი

## 27 ოქტომბერი



**ვერძი** – თუ ახალი საქმის დაწყებას აპირებთ, გაითვალისწინეთ, რომ დღეს საამისოდ შეუფერებელი პერიოდია. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. **კურო** – შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. გამოიყენეთ შემოთავაზებული წინადადება და სარგებლობას მიიღებთ. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. თქვენს საქმეებში ჩარევის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. **კირჩხიბი** – კომპრომისზე წასვლა აუცილებელია. სიფიცხე, სიჯიუტე და მოუთმენლობა დაგაზარალებთ. **ლომი** – მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. ვერაფერს შეცვლით. ეცადეთ, დატკბეთ ცხოვრებით. **ქალწული** – ფინანსური კრიზისი უკან დარჩა. მშვიდად იყავით და თქვენი საქმე ბეჯითად აკეთეთ. **სასწორი** – მეგობრების რჩევებს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. ახალი იდეების რეალიზაციაში ხელი არ შეგეშლებათ. **ღრიანკალი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. ნიჭს გასაქანი მიეცით. ახალი პარტნიორები პრობლემების მოგვარებაში გეხმარებიან. **მშვილდოსანი** – სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. საკუთარ ინტუიციას მიენდეთ და ისე იმოქმედეთ. **თხის რქა** – შანსი გეძლევათ, ადრე დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ. ბოდიშის მოხდის ნუ შეგრცხვებათ. **მერწყული** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. მზად იყავით მოულოდნელი ცვლილებებისათვის. ერიდეთ საქმის გარჩევას ახლობელთან. **თევზები** – წინააღმდეგობრივი დღეა. მიზნის მისაღწევად ბრძოლა მოგიწევთ. პოზიციებს ნუ დათმობთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. ფრანგული პარფიუმერიული ფირმა; 3. სიბერით გამოწვეული დაავადების შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. ფრანგი შანსონიე ქალი; 5. ოქრომჭედლის ყალიბი; 8. ტროპიკული ხილი; 9. სამეფო საბჭოს სხდომა ძველად საქართველოში; 12. ლირიკული, სატრფიალო ხასიათის სპარსულ-აზერბაიჯანული სიმღერა; 14. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო.

**თარაზულად**: 1. მეფეთა ძვირფასი თავსამკაული, ხელისუფლების სიმბოლო; 6. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. ჭაობის მცენარე; 9. ქართველი თეატრალური რეჟისორი ქალი; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 11. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 13. მდინარე რომში; 15. სათამაშო სახლი, სამორინე; 17. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 18. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 19. კომბინაცია პრეფერანსში; 20. ობობისნაირთა ოჯახის შხამიანი ცხოველი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰუმუსი; 2. გეტა; 3. არბიტრაჟი; 4. უნაბი; 5. სისტოლა; 8. მოდული; 9. ბალახვანი; 12. ფესახი; 14. თაბახი; 16. იმაგო.

**თარაზულად:** 1. ჰემინგუეი; 6. კრიჟანგი; 7. მიამიტი; 9. ბულიტი; 10. „პინო“; 11. სუფრული; 13. „თეთრა“; 15. თეზისი; 17. ჭიდაობა; 18. კაპელა; 19. ბრეხტი; 20. პოლიცია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბარითმია; 2. სინჯი; 3. მურყვამი; 4. „რიბოკი“; 7. „ბემბი“; 9. ლინზა; 12. ეთნოგენეზი; 14. კოიოტი; 15. კრაზანა; 17. მონასპა; 20. ქიმია.

**თარაზულად:** 5. საქარინი; 6. პრუდონი; 8. ჰაჯიბეი; 10. საბოტაჟი; 11. მინდია; 13. ათინათი; 16. ბარაკონი; 18. ტონგა; 19. დანია; 21. პორტიე; 22. ენოლოგია; 23. ტრაპეზი.

# კუმურდოს ტაძრის რეაბილიტაცია არ შეჩერდება



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო კუმურდოს საეპისკოპოსო ტაძრის რესტავრაციის პროცესის შეჩერებას არ აპირებს.

უკვე ორი წელია დაწყებულია არქეოლოგიური კვლევის სამუშაოები, რომელიც დღემდე მიმდინარეობს და ის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაციის პროცესის დასრულების შემდგომაც წარიმართება. ისტორიული შრეების 2-წლიანმა შესწავლამ, რომლის შედეგადაც ტაძრის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური არტეფაქტები გამოვლინდა, კუმურდოს ეკლესიის სარეაბილიტაციო პროექტის პირველადი ვარიანტი შეცვალა და ის ხელახლა დაკორექტირდა. დამტკიცებული პროექტის საფუძველზე, ტაძრის კომპლექსური რესტავრაცია, რაც შინაარსობრივად გუმბათისა და დასავლეთის ფერდის მინაშენის აღდგენასაც მოიცავს, მაქსიმალურად იქნება მისადაგებული მის ავთენტურ ფორმასთან.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ძირითადი ეტაპის განხორციელებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მომავალი წლიდან დაიწყებს. ამ დროისთვის კი არქიტექტორ-რესტავრატორთა ჯგუფი კუმურდოს ტაძრის ყველაზე კრიტიკულ უბნებზე აწარმოებს გამაგრებით-სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

არქეოლოგიური კვლევისას ტაძრის ტერიტორიაზე აღმოჩენილი საბჭოთა პერიოდში რეპრესირებული მოქალაქეების სამარხის ძვლები, რომელთაც დახვრეტის კვალი აშკარად აღენიშნება, სააგენტოს ინიციატივით, სამომავლოდ ტაძრის გალავნის მიღმა მოწყობილ სპეციალურ სამარხში საკადრისი პატივით დასვენდება.

ამ პროცესის განხორციელების შემდეგ კი კუმურდოს ეკლესიის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევის სამუშაოები სრული მასშტაბით გაგრძელდება.

# „ქართველი მოდილიანის“, სიმონ დადიანის, ნამუშევრები საქართველოში დაბრუნდა

მრავალთვიანი მოლაპარაკების დასრულების შემდეგ პარიზში, საფრანგეთში საქართველოს ელჩის ეკატერინე სირაძე-დელონეს თანდასწრებით ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის ძალითაც საქართველომ უნიკალური კოლექცია მიიღო.

ექსპონატები სამშობლოს ქართველი ემიგრანტების შთამომავლობამ მიხეილ და ლია ვოდეებმა გადასცეს. „ეს იყო აწ განსვენებული მხატვრის უკანასკნელი ოცნება“, თქვა მიხეილ ვოდემ და ცრემლები წამოუვიდა.

საუბარია ცნობილი ქართველი მხატვრის სიმონ დადიანის მემკვიდრეობაზე, რომელსაც სამშობლოში კარგად არ იცნობენ, არადა, მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო ნიუ იორკის მონტირისისა და სან-ფრანცისკოს ნახატების გალერეებში, ასევე სან-ფრანცისკოს ხელოვნების მუზეუმში. განსაკუთრებული აღიარება ხვდა მის აბსტრაქტულ ქანდაკებას „შავი ტორსი“, რისთვისაც მხატვარმა საგანგებო პრემია დაიმსახურა.

სიმონ დადიანი სან-ფრანცისკოში 57 წლის ასაკში სისხლის მძიმე სნეულებით გარდაიცვალა. დაკრძალეს სან-ფრანცისკოს ერთ ძველ, შორეულ სასაფლაოზე.

– მჩუქებლები არიან მფლობელები ფერწერული ტილოებისა და ქანდაკებების, ნამუშევრებისა სიმონ დადიანის, რომელმაც თავის სიცოცხლეშივე გამოთქვა სურვილი, რომ მისი ნამუშევრები ერთ დღეს გადაცემული ყოფილიყო საქართველოსთვის, როდესაც ის დაიბრუნებდა დამოუკიდებლობას, რათა ნამუშევრები გამოფენილ და გაცნობილ ყოფილიყო ქართველი საზოგადოების მიერ, – ნათქვამია შეთანხმებაში, რომელსაც ქართული მხრიდან ხელი ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ მოაწერა.



23 უნიკალური ფერწერული ტილო და 2 ქანდაკება საქართველოში ჩამოვიდა და ისინი ბინას ხელოვნების სასახლეში დაიდებენ.




# ერლომ ახვლედიანის „ვანო და ნიკო“ თურქულად ითარგმნა

ცნობილი ქართველი მწერლის ერლომ ახვლედიანის „ვანო და ნიკო“ თურქულ ენაზე ითარგმნა.

თარგმანი ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით განხორციელდა. თურქული თარგმანი თურქეთში უკვე გამოიცა. ერლომ ახვლედიანის „ვანო და ნიკოს“ თურქულენოვან თარგმანზე ფარნა-ბექა ჩილაშვილმა იმუშავა.

თურქულ ენაზე თარგმნამდე „ვანო და ნიკო“ ინგლისურადაც ითარგმნა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ნინო ანანიაშვილი იაპონიაში იცეკვებს



ქართველი პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი იაპონიაში იცეკვებს.

28 ოქტომბერს იაპონიის ქალაქ ტოიამაში „ასამი მაკი ბალეტი“ იაპონური ლეგენდის მიხედვით დადგმულ ბალეტ „ასუკას“ წარმოადგენს, რომელშიც მთავარ პარტიას პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი იცეკვებს.

სპექტაკლში ნინო ანანიაშვილს პარტნიორობას დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი რუსლან სკვორცოვი გაუწევს. ბალეტის რეპეტიციები ტოკიოში უკვე დაწყებულია და გადამწყვეტ ეტაპზე მიდის.

# ფაროსანას ერთეული შემთხვევა, თბილისის გარდა, გორსა და კახეთის ზოგიერთ რაიონში დაფიქსირდა

ფაროსანას არსებობის ერთეული შემთხვევა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის გარდა, გორსა და კახეთის ზოგიერთ რაიონში დაფიქსირდა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ზურაბ ლიპარტიამ განუცხადა.

მისივე თქმით, არის ადგილები, სადაც ფაროსანას ნახულობენ, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, სატრანსპორტო საშუალებები ინტენსიურად დადიან დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით.

– ფაროსანები იზამთრებენ ყველგან, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებებში და არ არის გასაკვირი, რომ გადმოვიდნენ. ერთეული შემთხვევები ყველგან იქნება, შემოსევა არ არის, მაგრამ სატრანსპორტო საშუალებების მიმოსვლის გამო ფაროსანა ყველგან იქნება.

ფაროსანას დასაფიქსირებელად 1200 მოწყობილობა განთავსდა კახეთში და ამდენივე იქნება გორშიც, მაგრამ ჩვენს მონიტორინგის სამსახურს ჯერ არ დაუფიქსირებია მავნებელი. ატამში, ვაშლში, მსხალში და აღმოსავლეთ საქართველოს ხილის კულტურებში მავნებელი წელს არ ყოფილა, – აღნიშნა ზურაბ ლიპარტიამ.



მისივე განმარტებით, მწერი გამოიზამთრებს და აპრილის ბოლოდან უკვე იქნება ბუნებაში, სადაც დაიწყებს შეჯვარებას, გამრავლებას და სწორედ იმისთვის, რომ არ მოხდეს მავნებლის გავრცელება, სურსათის ეროვნული სააგენტო მთელი ქვეყნის მასშტაბით განახორციელებს სპეციალურ ღონისძიებებს.

– პროგრამა, რომელიც მომავალ წელს უნდა განვახორციელოთ, მთელი ქვეყნის მასშტაბით გვაქვს გათვალისწინებული როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოსთვის. თუ რა ღონისძიებები უნდა გაატარონ ფერმერებმა ამის შესახებ ჩვენ შესაბამის ინსტრუქტაჟს ჩავატარებთ, – განაცხადა ზურაბ ლიპარტიამ.

არსებული ინფორმაციით, ფაროსანა გორსა და კახეთის ზოგიერთ რაიონშიც შენიშნეს.

# სამგლოვიარო განცხადებები

გარდაიცვალა საქართველოს მომსახურების კომუნალური და ბანკების მუშაკთა პროფესიული კავშირის ღვაწლმოსილი ვეტერანი მუშაკი, ამ კავშირის ყოფილი თავმჯდომარის მოადგილე

**ნელი კოპალეიშვილი**

პანაშვიდი: 27, 28 ოქტომბერს;
დაკრძალვა: 29 ოქტომბერს, 14 საათზე;
მისამართი: შარტავას 45, I სადარბაზო, III სართული.

**პროფესიული კავშირის გამგეობა**

უახლოესი მეგობრები – გივი ფხაკაძე და ლიანა დავიდოვი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მომსახურების კომუნალური და ბანკების მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ღვაწლმოსილი მუშაკი და გულისხმიერი მეგობარი

**ნელი კოპალეიშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ მის შვილებსა და ახლობლებს.

მეუღლე მედეა ცქიტიშვილი-ვარძელაშვილი, შვილები ლევან და კოტე ვარძელაშვილები, რძლები მაკა კანდელაკი და ანა ჟვანია, შვილიშვილები ანდრო და მარია ვარძელაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გადაიცვალა

**მიხეილ ვარძელაშვილი**

პანაშვიდი: 26, 27 ოქტომბერს;
მისამართი: ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. 9, მე-8 სადარბაზო;
გასვენება: 28 ოქტომბერს, 14.00 საათზე, ჯვართამაღლების ტაძრიდან (ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. 9).
ღმერთმა გაანათლოს მისი სული!



**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

## პარასკევი 27 ოქტომბერი

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მაშველი ლეკვები" 09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 02.05 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.30 დოკ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" 13.30, 21.00 ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" 14.30 ქართ "დოკუმენტალისტიკა 15.00, 04.45 დოკ/ფ " მუზეუმის საიდუმლოებანი" 16.15, 06.15 დოკ/ფ "თოფ-გიარი" 17.15 ტ/სერ. "**ოფისი**" 18.30, 05.45 დოკ/ფ "გონების თამაშები" 20.40 "სპორტის დაფა" 22.00 მხ/ფ "**ადამიანი შავებში 3**" (უ.სმიტი) 23.5 მხ/ფ "**პოლოკი**" 03.05 მხ/ფ "**სექსის ვიდეო ჩანაწერი**"(კ.დიაზი)

06.30, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.00 ქრონიკა 10.10, 14.40 სერ. "**ელიფი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "**ქალაქის გული**" 18.50, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**დედა**" 22.00 ჩვენ ვარსკვლავები ვართ 00.30 მხ/ფ "**ცუდი დედები**" 02.20 მხ/ფ "**უნივერსალური ჯარისკაცი**" 04.15 მხ/ფ "**წითელი სისხლი**" 05.35 მხ/ფ "**ცოფიანი ძაღლები**"

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი**" 07.00, 20.03 სერ. "**დედამთილი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიკას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**წარსულის ჩრდილი**" 16.55 სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 16 00.00 სერ. "**სამშობლო**" 7 01.00, 01.30 მხ/ფ 02.00 კურიერის დაიჯესტი 02.40 მხ/ფ

**tv პირველი** 7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**ცხოვრების გზა**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 13.40 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დიანა ტრაპაიძის დღის ამბები 15.00, 22.30 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00 მხ/ფ 20.00 პირველები 23.00 ავტორბოლა 23.30 ღალატი

08.00 ან/ფ "ავატარი 2" 08.30 ან/ფ "ავატარი 3"1 სერ. 09.00, 19.00 სერ. "**ცისფერი სისხლი-4**" 11.00 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები-4**" 13.00 სერ. "**ძვლები 11**" 17.00 სერ. "**სამხედროების ცოლები-2**" 21.00 სერ. "**სპირალი 4**" 12 სერ. 22.30 მხ/ფ "**ნიუ იორკის ბანდები**" 01.30 მხ/ფ "**მებრძოლი ცხენი**" 04.00 მხ/ფ "**ანგელოზთა ქალაქი**" 06.00 მხ/ფ "**თაღლითები**"

08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 მულტ/სერ. "დინოფროზი" 09.00 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.00 ახალი ამბები 12.00, 2.00 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.10 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.45 ფაბრიკა 18.30 სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" 19.55 მე რომ ვიყო 20.00, 3.45 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " 21.00 სერ. "**გაქცეულები**" 22.00 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 23.00 ღია სტუდია 00.00 მხ/ფ " **ახალი პოლიციური ისტორია**"

06.15 კვირიაკე 07.10 ქრისტიანული ხელოვნება "თანამედროვე საეკლესიო მხატვრობა" 2 08.00 დილის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 მსოფლიო საგანძური "არგენტინა-იგუას ჩანჩქერები, ბრაზილია" 10.25 თბილისის ტაძრები "მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარი" 10.35 ბავშვები მუზეუმში "ეთნოგრაფიის მუზეუმი" 11.10 ერთსულოვანი ოჯახი "თავართქილაძე" 12.05 მხ/ფ "**ჩიორა**" 13.30 ან/ფ "მეფე ლომი" 1 15.05 ქართული ან/ფ 15.25 დ/ფ "ბარტ ვულფი-ესპანეთი" 15.50 გადაცემა ოპერა "რექვიემი" (ვერდი) I, II; 17.35 კვირიაკეს სიუჟეტი "უკვდავი აზდაკი-რ. ჩხიკვაძე" 17.50 ძველი აღთქმის განმარტება 18.10 დ/ფ "იაკობ გოგებაშვილი-ცხოვრება და მოქალაქეობა" 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**ქალაქი ანარა**" 20.40 ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.05 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ლაკვის ხეობა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გზა, რომლითაც ვიარე "აკაკი შანიძე" 23.35 დეკორატიული ფლორა "ქრიზანტემა" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.35 მგზავრები წუთისოფლისა 01.00 დ/ფ "მრავალჟამიერ-შვიდკაცა" 01.30 კონცერტი "ანდრეა ბოჩელი-ღამე ტოსკანაში"

**მაესტრო** 10.00 - 23.30 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**27 ოქტომბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5317

ევრო — 2.9813

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.352

100 რუსული რუბლი — 4.4003

## ამინდის პროგნოზი 27 ოქტომბრისთვის





## 26 ოქტომბრიდან

ონორე დე ბალზაკი

**კურტიზან ქალთა ბრწყინვალება და სიღატაკე**

**ნაწილი I**



**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**


# ნიკა გვარამია „სახეს" აკრიტიკებს





ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ჯგუფ „სახის" ახალ სიმღერას აკრიტიკებს. დათო ხუჯაძემ და დათო ფორჩხიძემ გოგი ცაბაძის ცნობილი სიმღერა „ჩემო თბილის ქალაქო" ახლებურად ააჟღერეს და ჯგუფის დაარსების 20 წლის იუბილეს ფარგლებში ვიდეორგოლიც გადაიღეს.

**ნიკა გვარამია:**

– არა არს სიმღერა თბილისზე, უფრო გოიმური, ვიდრე ეს ფანოლ-ბაიათი. წარმოდგენილი ვერსია, მთლად უარესი და უხამსობამდე უგემოვნო, თან მსუქანი კაცების სასაცილო როკვის ფონზე. ნუ, ორიგინალიც ცუდი სიმღერაა და ეს დამიქსული მთლად უბედურება.

# მაიკო კაჭკაჭიშვილი შალვა რამიშვილს: „შენ რომ შემიფასებ ნამუშევარს..."





კომპოზიტორმა მაიკო კაჭკაჭიშვილმა რეპერ ძვალთან ერთად ეთერ ჭელიძის ცნობილი ქართული სიმღერა „ჩემო თბილის ქალაქო" ახლებურად ააჟღერა.

სიმღერის ახლებური ვერსია ტელეწამყვანმა შალვა რამიშვილმა გააკრიტიკა. მისი აზრით, მაიკოსა და რეპერის მიერ შესრულებული წინა დუეტისგან განსხვავებით, ახალი ვერსია ნაკლებად წარმატებულია.

შალვა რამიშვილის კრიტიკას მაიკო კაჭკაჭიშვილმა უპასუხა:

– შალვა რამიშვილო, ნეტავ მართლა ვინმე გიჯერებდეს და გისმენდეს აწ უკვე. შენ რომ შემიფასებ ნამუშევარს, გემოვნებიანია თუ არა, მანდ დეიღუპა კაჭოო, მარა მაინც საყვარელი და „მ" ძლეთა „მ" ძლე ხარ.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# იუმორი



კაცს ეკითხებიან:

– არჩევნებში ხმას ვის აძლევ?

– ვოცნებობ, ყველაფერი ხუთიანზე იყოს...

•••

ცოლ-ქმარი მუზეუმში გამოფენას ათვალიერებენ. კაცმა შიშველი ქალის ქანდაკება დაინახა, რომელსაც ფოთოლი ჰქონდა აფარებული, მიუახლოვდა და მიაშტერდა. ცოლმა ითმინა, ითმინა და ბოლოს ეუბნება:

– ჰა გამოადგამ ფეხს, თუ შემოდგომას დაელოდები?!

•••

ცოლ-ქმარს სამი ტყუპი შეეძინათ. სახლში რომ მიიყვანეს, უფროსმა შვილმა დახედა ტყუპებს და მშობლებს ეუბნება:

– სამივე უნდა დავიტოვოთ, თუ ამოსარჩევად მოიყვანეთ?!

•••

შუაღამისას ქმარი ცოლს აღვიძებს.

– რა გინდა, კაცო? – ეკითხება ნამძინარევი ცოლი.

– რა უნდა მინდოდეს ქალო ამ შუა ღამეს?... ორი თავი ხახვი ხომ არ გექნება, ზეგამდე რომ მასესხო?

•••

კაცმა ცოლი სამშობიაროში მიიყვანა. ცოტა ხანში ექიმი გამოდის და ეუბნება:

– სხვა გზა არ გვაქვს, გაუტკივარება უნდა გავუკეთოთ.

– ექიმო, ეგ გაუტკივარება ენაზეც რომ გაუკეთო, არ შეიძლება?

•••

კაცმა სადგურზე ტაქსი გააჩერა და ეკითხება:

– ვორონცოვზე რამდენად გამიყვან?

– სამ ლარად.

– კიდევ ორი ჩემოდანი მაქვს და ამათში რამდენს გამომართმევ?

– ჩემოდნებში არაფერს.

– მაშინ ეს ჩემოდნები წაიღე და მე ფეხით გამოვისეირნებ.

•••

კაცს ეკითხებიან:

– რა ადგილი უჭირავს შენს ცხოვრებაში ღვინოს?

– საპრიზო!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ქალთევზა ქალია თუ თევზი?

– ეგ იმაზეა დამოკიდებული, გშია თუ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# თორნიკე ოქრიაშვილი კიდევ 5 თვე იუქმებს



საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი თორნიკე ოქრიაშვილი კიდევ რამდენიმე თვე ვერ შეძლებს მოედანზე დაბრუნებას. ოქრიაშვილი ამჟამად რუსული კრასნოდარის ღირსებას იცავს, სადაც მისი კარიერა კარგად დაიწყო, მაგრამ თორნიკეს ხელი ტრავმებმა შეუშალეს და ის ისევ ლაზარეთში იმყოფება.

ოქრიაშვილი სარეაბილიტაციო კურსს გადის და აქტიურ ფეხბურთს, სავარაუდოდ, თებერვალში ან მარტში დაუბრუნდება.

თორნიკე ოქრიაშვილი საქართველოს ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა, ამიტომ გულშემატკივარი მოუთმენლად ელის მის დაბრუნებას.

# პოლ პოგბა მოედანს მალე დაუბრუნდება



მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგი ფეხბურთელი პოლ პოგბა თითქმის ბოლომდე გამოჯანმრთელდა და მზად არის სათამაშოდ, თუმცა ამ შაბათ-კვირას ის, სავარაუდოდ, დაისვენებს, რადგან მანჩესტერის მწვრთნელ ჟოზე მოურინიოს გარისკვა არ სურს.

პოგბამ ტრავმა სექტემბრის შუა რიცხვებში მიიღო და მას შემდეგ ის მოედანზე აღარ გამოჩენილა.

5 ნოემბერს მანჩესტერ იუნაიტედი ჩელსის დაუპირისპირდება და პოგბას დაბრუნება ამ შეხვედრაშია მოსალოდნელი.

მოურინიოს თქმით, ის მოუთმენლად ელის ფრანგი ნახევარმცველის დაბრუნებას, რადგან მის გარეშე მანჩესტერს უჭირს ნახევარდაცვაში.

# მარკო როისი ბორუსიიდან წასვლას აპირებს



დორტმუნდის ბორუსიის ერთ-ერთი ლიდერი მარკო როისი მომავალი სეზონიდან სხვა გუნდში აპირებს გადასვლას. მარკომ არ დამალა ის ფაქტი, რომ დორტმუნდი მას მობეზრდა და სურს, ძალები სხვაგანაც ცადოს.

– ბორუსიამ ძალიან ბევრი მომცა და ამ გუნდის მადლიერი ყოველთვის ვიქნები, მაგრამ ცვლილებების დროა და მსურს, სხვა ჩემპიონატშიც ვნახო, რა გამომივა. ერთ რომელიმე გუნდზე არ ვფიქრობ, – განაცხადა მარკო როისმა.

როისი ამჟამად ტრავმირებულია და ზოგადად ამ ფეხბურთელს ძალიან ხშირად აწუხებს ტრავმები. სწორედ ამის გამო მან ევრო 2016 გამოტოვა, მანამდე 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც ვერ შეძლო მონაწილეობის მიღება.

# ბარსელონა დელოფეუს არ გაყიდის



ბარსელონა თავისი ახალგაზრდა ფეხბურთელის ჟერარ დელოფეუს გაყიდვას არ აპირებს. გუნდის მწვრთნელი ერნესტო ვალვერდე კმაყოფილია დელოფეუს გარჯით და მისი გუნდში დატოვების გადაწყვეტილებაც მიიღო.

ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კატალონიური გუნდი დელოფეუს გასხვისებას აპირებდა, რადგან დემბელეს მოსვლის შემდეგ მისი ადგილი ძირითად შემადგენლობაში აღარ მოიძებნებოდა, თუმცა დემბელემ ტრავმა მიიღო, დელოფეუ კი სტაბილურად თამაშობს და უკვე რამდენიმე გოლის გატანაც შეძლო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. მცირე ამპლიტუდის რხევები; 2. იამაიკელი სპრინტერი მამაკაცი, მრავალგზის მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი; 3. საცხოვრებელი სათავსო სახლის სხვენზე; 4. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 7. კათოლიკური ჯვარი; 9. ქალაქის თვითმმართველობის ორგანო იტალიაში; 12. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 14. სოციოლოგიური კვლევების ამერიკული ცენტრი; 15. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 17. რაიონი ნიუ იორკში; 20. ანტარქტიდის მკვლევარი ინგლისელი მეცნიერი.

**თარაზულად**: 5. სხვადასხვა სახეობის ორი ორგანიზმის თანაცხოვრება; 6. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ამერიკული ჯიში; 8. ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 10. ღია ლურჯი ფერი, ცის ეპითეტი; 11. ჩინეთის საინფორმაციო სააგენტო; 13. ისტორიული ჩანაწერები, რომლებსაც აღნუსხავდნენ მემატიანეები; 16. ვაზის ხეივანი; 18. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 19. ხმელთაშუა და წითელი ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი; 21. მაკედონიის დედაქალაქი; 22. მოკლე სასაცილო ამბავი, შეთხზული გასართობად; 23. ასპირინის გამომგონებელი გერმანელი ქიმიკოსი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

